

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვიანთი ევროპული გამოსეგევი

მხნაწა წამაშვილი

თბილისი
2019

UDC(უაკ)94(4:479.22)+327(4:479.22)+008(4:479.22)
ს-1

რედაქტორი: დალი მაჩაიძე
ტექ. რედაქტორი: გიორგი გელაშვილი



© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN: 978-9941-9606-6-6

სარჩევი

წინათქმა.....	5
უძველეს ექსლიბრისტა მეტყველი ხელოვნება	7
„უცნობთა აკადემია“ და მისი გამოცემები	16
სტრეინის მოგზაურობა	25
უნიკალური „სამეგობრო ალბომი“ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში	35

წინათქმა

ქართველი ხალხის ინტერესი ევროპის ისტორიისა და კულტურისადმი შორეული წარსულიდან მოდის. ამ მოვლენას მეცნიერები ისტორიული საბუთებით ადასტურებენ, სხვები კი ევროპის ქვეყნების მიღწევებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მისაბაძი მაგალითებით ხსნიან.

საქართველოს არსებობის ყველა ეტაპზე, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, მიიჩქმალა ყველაზე ღრმა, ბოლომდე ამოუცნობი და მისტიური კავშირი მონათესავე ევროპულ ცივილიზაციასთან, მის სულიერებასა და ტრადიციებთან. ეს ფენომენი მუშაობდა უჩუმრად, აღვივებდა ინტერესს, სიყვარულსა და პოეტურ აღმაფრენას. მისწრაფება ევროპულ კულტურასთან ზიარებისა იზრდებოდა წიგნიერებასთან ერთად. წიგნი გახდა სასურველი ინფორმაციის წვდომის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება. ევროპულ წიგნებს, ხშირად უკანასკნელი სახსრებით ყიდულობდნენ ძნელბედობის გამო საზღვარგარეთ გადახვენილი ემიგრანტები, სხვადასხვა შინაარსის იშვიათ გამოცემებს ბუკინისტებთან ეძებდნენ მეცნიერები და მოგზაურები. ეს ადამიანები სამშობლოში ბრუნდებოდნენ „ნაბეჭდი განძით“. შემდგომ კი ზოგიერთი წიგნი კერძო კოლექციებიდან მოხვდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში. წიგნის მუზეუმი გახდა გამორჩეული ბედის მქონე უცხოური გამოცემების უკანასკნელი ნავთსაყუდელი.

წინამდებარე გამოკვლევაში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში XVI-XVII საუკუნეებში დაბეჭდილ ოთხ გამოცემას წარმოგიდგენთ. განსხვავებული შინაარსის ეს უძველესი წიგნები იშვიათი გამოცემებისთვის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ნიშნებითაც გამოირჩევა. ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად სრულად წარმოგვეჩინა თითოეული მათგანის კულტურული ღირებულება. იმედია, საქართველოში „დაბინავებული“ ევროპული წიგნები მკვლევართა უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს და მათი შესწავლის საპასუხისმგებლო საქმეს სხვა მიმდევარნიც გამოუჩნდებიან.

Foreword

Georgian People have been showing interest in the history and culture of Europe since ancient times. Historians explain this aspect with inarguable and firm substantiations, while scientists refer to achievements and worthy samples of public life in European countries.

Complicated political developments in all phases of the history of Georgia, have curtailed the deepest, unexplained and mystic connection with kindred European civilization, its spirituality and traditions.

This phenomenon has worked mysteriously, raised interest, love and poetic aspiration. Aspiration for European culture used to grow along with literacy expansion. The book has become the most favorable thing for obtaining desirable information. In heavy times, sometimes, Georgians migrated to Europe used to buy European books with their last resources, scientists and travelers used to visit antiquarian booksellers to buy rare books of various content. Those people used to return to Georgia with Printed Treasure. Some of those books moved to the Museum of Rare Books of Georgian National Library from private collections. The Book Museum has become a final harbor of foreign editions with magnificent history...

This research is dedicated to four editions that were printed in various European countries in XVI-XVII centuries.

These ancient books of different content are distinguished with important individual signs characteristic to rare editions. We tried our best to express the cultural value of each and every one of them. We hope that European books that have settled important mission of studying them will be fulfilled by many other followers.

უძველეს ქაღალდისა და მძეველი ხელოვნება

აგოსტინო სტეფანი

და ისტორიული რეალიები

ექსლიბრისების სახეობათა შორის (გერბული, ვენზელური, სიუჟეტური, შრიფტული) გერბულ ექსლიბრისებს განსაკუთრებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. გერბულ ექსლიბრისთა უმეტესობა უძველესია, რადგან ესტამპის სახით მათი გამრავლება ბეჭდური გამოცემების ტირაჟირების ადრეულ ეტაპზე მოხდა. შუა საუკუნეებში იღებს სათავეს ტყავის ყდაზე ამოტვიფრული, გერბული და ვენზელური სუპერექსლიბრისიც, რომლის დამზადებაც ტექნიკურად უფრო რთული იყო და მეტ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა. პირადი ბიბლიოთეკების ძვირადღირებული გამოცემებით დაკომპლექტება, როგორც წესი, მხოლოდ მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანებს შეეძლოთ. წიგნების შეძლებულ მფლობელებს მოოქრული ტვიფრი შეიძლება მხოლოდ მისთვის გამორჩეული ეგზემპლარების ყდებაზე გაეკეთებინათ, ესტამპის სახით გამრავლებულ გრავირებულ ექსლიბრისებს კი ეკლესია-მონასტრებისა და საოჯახო ბიბლიოთეკის მუპატრონეები თითქმის ყველა წიგნის ფორზაცზე აკრავდნენ.

ორივე სახის გერბულ ექსლიბრიში, საგანგებოდ შემუშავებული სიმბოლოების ენაზე, წიგნის მფლობელის საგვარეულო ისტორიასთან ერთად, გადმოცემულია მისი სოციალური მდგომარეობა და პრივილეგიები. ანონიმური გერბული ექსლიბრისების წარმომავლობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის მფლობელ დიდგვაროვანთა შთამომავლობით მიღებული საერთო სიმბოლური ნიშნების გათვალისწინება. ამას ემატება ცალკეულ პიროვნებათა დამსახურების ამსახველი დამატებითი ატრიბუტები.

ჰერალდიკური ექსლიბრისების წარმომავლობის შესახებ ევროპულ ენებზე დაბეჭდილი XVI-XVII საუკუნეების იშვიათი გამოცემები ელექტრონულ რესურსებში გაციფრული ვერსიებითაა წარმოდგენილი. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი მფლობელისეული ნიშნების გამიფვრა გაძნელებულია ამ დარგში ლიტერატურის სიმწირისა და ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაციის გამო.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა მიუხედავად, უკვე გაირკვა ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნებზე დაცული არაერთი გერბული ექსლიბრისის წარმომავლობა. ამ კუთხით კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჰააგაში, 1692 წელს დაბეჭდილმა, თეთრი ტყავის ყდაში ჩასმულმა პატარა ორტომეულმა სათაურით „მოგონებები ესპანეთის სამეფო კარზე“. წიგნის ავტორი გახლავთ XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი პროზაიკოსი ქალი მარი-კატრინ ოლნუა.¹



მარი კატრინ ოლნუას წიგნის თავფურცელი

1 Aulnoy, Marie-Catherine. Memoires de la cour d'Espagne. Part. 1-2, La Haye, A. Moetjens, 1692. (თხზულების მესამე გამოცემა).

გამოცემის პირველ ტომზე დაკრული იყო XVIII საუკუნის ოჯალური ჰერალდიკური ექს-ლიბრისი ინიციალებით „C. A.“. ექსლიბრისის სიმბოლოური ელემენტების (გვირგვინი, დაშნა, კვერთხი, ფარზე გამოსახული ლომები, ცხენი, კათოლიკური ჯვარი და გულები) და მასზე და-ტანილი ინიციალების მიხედვით გაირკვა გერბის წარმომავლობა. უტყუარია, რომ წიგნის მფლობელი ყოფილა ბავარიელი ჰერცოგების, ვიტელსბახების შთამომავალი, პრინცი-ე-პისკოპოსი კლემენს ავგუსტ ბავარიელი. გერბის ქვეშ დაბეჭდილი ინიციალებიც მისი სახე-ლის პირველი ასოებია.

გამოცემის მეორე ტომის ყდის შიდა მხარე დამშვენებულია ორნამენტით შემკობილი ლამაზი ჰერალდიკური ექსლიბრისით, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ეპისკოპოსის მიტრა და პროტონოტარიუსის ქუდი, ხოლო ცენტრში – მონასტრის კოშკი. ექსლიბრისის ქვე-და ნაწილში ყურადღებას იპყრობს შემოკლებული შრიფტული წარწერა გერმანულ ენაზე: „Aug. Stef. Ab Lepsing. S. S. Apost. Prothonot“.



**ავოსტინო სტეფანის
ექსლიბრისი (I ვარიანტი)**



**ავოსტინო სტეფანის
ექსლიბრისი (II ვარიანტი)**



**კლემენს ავგუსტ ბავარიელის
ექსლიბრისი**

წარწერის ამოკითხვის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ წიგნის პირვანდელი მფლობელი შეიძლება ყოფილიყო მწერლის თანამედროვე ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი, დიპ-ლომატი და საეკლესიო მოღვაწე – ავოსტინო სტეფანი. ეს ვარაუდი გაგვიმყარა ერთმა საი-ნტერესო აღმოჩენამ: ბავარიის პრინცის ექსლიბრისის ქვეშ (ტ.1) დაკრული აღმოჩნდა სხვა, ქრონოლოგიურად უფრო ძველი ექსლიბრისი. მასზე გამოხატულია გამოცემის მეორე ტომის მფლობელისეული ნიშნის იდენტური სიმბოლოები: კოშკი, ეპისკოპოსის მიტრა და აბატ-პ-როტონოტარიუსის ქუდი. განსხვავება ამ ორ ექსლიბრისს შორის მათ ზომასა და სიმბოლო-თა მხატვრულ-სტილისტურ გადაწყვეტაში მუდავნდება. ახლად აღმოჩენილი ექსლიბრისი შედარებით დიდია მეორე ტომისაზე და იგი სხვა მხატვრის ხელითაა შესრულებული. უძვე-ლეს მინიატურულ გრაფიკურაზე საღებავი „ცინცხალი“ და გაუხუნებელია, რადგან მას საკუნე-ბის მანძილზე იცავდა ბავარიელი პრინცის მიერ ზემოდან დაკრული წიგნის მფლობელობის დამადასტურებელი ნიშანი. აღნიშნული გამოცემის წარმომავლობის შესახებ ინფორმაცი-ის მნიშვნელოვანი წყაროა პირველი ტომის ექსლიბრისის ვრცელი ტექსტის აბრევიატურა. აბრევიატურის გაშიფვრით დადასტურდა ავოსტინო სტეფანის სოციალური მდგომარეობა და მისი საეკლესიო მოღვაწეობის ამსახველი რეგალიები. სანამ ექსლიბრისების წარწერე-ბისა და სიმბოლოების გაანალიზებას შევუდგებოდეთ, სასურველია გავეცნოთ მრავალმ-რივი ნიჭისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანის – ავოსტინო სტეფანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ ორტომეულის ექსლიბრისთა წარწერებისა და სიმბოლოების მიზეზ-შედეგობრივი კავში-რის ლოგიკური გააზრება.

აგოსტინო სტეფანი² (იტალ.: Agostino Steffani) დაიბადა იტალიაში, კასტელფრანკო ვენეტოში.³ სტეფანიმ ბავშვობის წლები გაატარა პადუასა და ვენეციაში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება. განსაკუთრებული ვოკალური მონაცემების გამო, იგი მიიღეს ვენეციის წმ. მარკოზის სახელობის ეკლესიის გუნდში. ვენეციაში მან გაიცნო ბავარიელი დიდებული გეორგ იგნაც ტატენბახი, რომელიც მოიხიბლა აგოსტინოს მშვენიერი ხმით. ტატენბახთან ერთად სტეფანი გაემგზავრა მიუნხენში. იქ ის დაეუფლა ორლანზე დაკვრის ხელოვნებას და როგორც პროფესიონალმა მუსიკოსმა, მუშაობა დაიწყო კურფიურსტის,⁴ ფერდინანდ-მარია ბავარიელის სასახლის კარზე. ორლანისტი, იოჰან კასპარ კერლის რჩევით, ჭაბუკი აგოსტინო ჩავიდა რომში, სადაც 1672–1674 წლებში ერკოლ ბერნაბეის⁵ მეთვალყურეობით სრულყო თავისი მუსიკალური განათლება. მუსიკალური საგნების პარალელურად, ღვთისმოსავი ჭაბუკი სწავლობდა თეოლოგიასაც. 1674 წელს სტეფანი დაბრუნდა მიუნხენში, ეკურთხა მღვდლად და გამოაქვეყნა თავისი პირველი თეოლოგიური ნაშრომი.



აგოსტინო სტეფანი


ამასთან ერთად, სტეფანი ქმნიდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს: დუეტებს, ტრიოებს, კვარტეტებსა და ოპერებს. აგოსტინო სტეფანის მიერ იტალიური ვოკალური ტრადიციების გერმანულ მუსიკაში დანერგვამ გადაარჩინა კრიზისის პერიოდში მყოფი გერმანული საოპერო ხელოვნება. დღითიდღე იზრდებოდა მისი, როგორც კომპოზიტორის პოპულარობა.

2 1654 – 1728 წწ.


3 Castelfranco Veneto – ქალაქი ვენეტოს კომუნაში, რომელიც ექვემდებარება ტრევიზოს ადმინისტრაციულ ცენტრს.

4 კურფიურსტი – თავადი საღვთო რომის იმპერიაში (იგ. ელექტორატის თავადი), რომელსაც ჰქონდა იმპერატორის არჩევის უფლება.

5 იტალიელი კომპოზიტორი.



სცენის ესკიზი აგ. სტეფანის ოპერისთვის „სერვიო ტულიო“.
მიუნხენი, 1685 წ.



აგოსტინო სტეფანის ავტოგრაფი: პარტიტურა ოპერისთვის
„ენრიკო ლეონე“

1678–1679 წლებში აგოსტინო სტეფანიმ დიპლომატიური მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში. ცნობილია, რომ იგი საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის წინაშე წარსდგა, როგორც კლავესინისტი. მალე (1681 წ.) კომპოზიტორმა მიიღო ბავარიის ელექტორატის პრინცის, მაქსიმელიან II ბავარიელის სასახლის კარის მუსიკალური სალონის გენერალური დირექტორისა და კაპელმეისტერის თანამდებობა. აქედან დაიწყო სტეფანის ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის წლები. 1681 წელს მიუნხენში დაიდგა მისი პირველი და ყველაზე პოპულარული ოპერა „მარკო აურელიო“. ამ დროს კომპოზიტორის ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა: საფუძვლიანი თეოლოგიური განათლების დასრულების შემდეგ, 1680 წელს იგი ეკურთხა აბატად (ანუ წინამძღვრად). როდის მიიღო სტეფანი „ლეპზინგელი“⁶ აბატის წოდება, დაზუსტებული არ არის. მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ავტორის, ბენჟამენ ბალიფის აზრით, „ლეპზინგელი აბატი“ სტეფანის ეწოდა მღვდლად კურთხევის შემდეგ, მიუნხენში დაბრუნებისთანავე, დაახლოებით 1674 წელს. სხვა წყაროების მიხედვით კი, მას ეს წოდება მიენიჭა 1683 წელს, რაც უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება. მალე წარმატებულმა დიპლომატმა ბავარიის მეფისგან მიიღო ჰერცოგის საპატიო ტიტულიც.

1688 წელს აგოსტინო სტეფანი გაემგზავრა ჰანოვერში, სადაც ის გახდა ჰერცოგ ერნსტ ავგუსტ კალენბერგის (ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის) სამეფო საოპერო თეატრის კაპელმეისტერი. საოპერო მუსიკის წერის პარალელურად, კომპოზიტორი ასრულებდა რომის სამოციქულო ეკლესიის შემრიგებლურ მისიას ჰანოვერის პროტესტანტ დიდებულებსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის. აგოსტინო სტეფანის, როგორც არქივისკოპოსის თანაშემწეს, უშუალოდ ევალებოდა კათოლიკური ეკლესიის პოზიციის გამყარება გერმანიის სხვა რეგიონებშიც. სტეფანიმ თავისი შესაძლებლობა გამოსცადა დიპლომატიურ სარბიელზეც, სადაც ყველასთვის მოულოდნელად გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა. 1691 წელს ის გააგზავნეს ბავარიის ოფიციალურ წარმომდგენლად ბრიუსელში, სადაც დაჰყო 1696 წლამდე. ამ დროიდან აგოსტინო სტეფანი უკვე მოიხსენიება აპოსტოლ-პროტონოტარიუსად.⁷

დიპლომატურ საქმიანობასთან ერთად, კომპოზიტორი ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას (წერდა წელიწადში 1 ოპერას). 1703–1705 წლებში ის გახლდათ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის რექტორი და კურატორი. კათოლიკური ეკლესიის დელიკატურ მისიათა შემსრულებელმა გამოცდილმა წინამძღვარმა ისე ისახელა თავი, რომ 1706 წელს რომის პაპმა ინოკენტ XI-მ განეული ღვანლის აღსანიშნავად მას მიანიჭა სპიგის⁸ ეპისკოპოსის წოდება. საეკლესიო სარბიელზე მიღწეულმა წარმატებებმა დადებითად იმოქმედა სტეფანის მრავალმხრივ დიპლომატიურ საქმიანობაზე. იგი მშვენივრად აგვარებდა პოლიტიკურ ურთიერთობას გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის და ავსტრიის სამეფო კარს შორის. 1708 წლის აპრილიდან აგოსტინო სტეფანი ცხოვრობდა რომში, სადაც პაპმა კლემენტ მეთერთმეტემ ის სხვა საეკლესიო ხარისხებში აიყვანა: პაპმა იგი გაამწესა იტალიის ქალაქ კარარას⁹ წმ. სტე-



ერნსტ-ავგუსტ ბრაუნშვაიგ-ლუნებურგი

6 Löpsingen (ლოპზინგენი, იგ. ლეპზინგი) - რაიონი ბავარიაში, ნორდლინგენის მუნიციპალიტეტში.
 7 აპოსტოლ-პროტონოტარიუსი – უმაღლესი სასულიერო პირი: რომის კათოლიკური სამოციქულო ეკლესიის კურიის პირველ შვიდ ნოტარიუსთაგანი, რომელსაც რომის პაპის მიერ მინიჭებულ აქვს განსაკუთრებული პრივილეგიები. მასვე ევალება კურიის მიერ გამოცემული ყველა საბუთის შემოწმება.
 8 სპიგა – კათოლიკური ეპარქიის სახელწოდება.
 9 კარარა – ქალაქი იტალიაში, მასა-კარარას პროვინციაში.

ფანეს სამონასტრო კომპლექსის წინამძღვრად, ხოლო 1709 წლიდან სტეფანის დაეკისრა ვიკარ-აპოსტოლის¹⁰ საპასუხისმგებლო მისია ჩრდილოეთ საქსონიაში. ეპისკოპოსობის დროს სტეფანის მოვალეობაში შედიოდა მონასტრებიდან შემოსული თანხის აკრეფაც.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში აგოსტინო სტეფანი მეტ დროს უთმობდა საეკლესიო დიპლომატიურ მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, ის პოულობდა დროს, შეექმნა ოპერათა მთელი სერია, სასულიერო მუსიკის მშვენიერი ნიმუშები და კამერული დუეტები. კომპოზიტორი თხზულებებს ხელს აწერდა თავისი ნაწარმოებების გადამწერის, გრეგორიო პივას ფსევდონიმით.

ჰანოვერში ცხოვრებისას აგოსტინო სტეფანიმ გაიცნო ბაროკოს პერიოდის არაერთი ცნობილი მოღვაწე, რომელთანაც დიდი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა. ასეთი იყო, მაგალითად, ჰერცოგის ბიბლიოთეკარი და საიდუმლო მრჩეველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და თეოლოგი გოტფრიდ ლეიბნიცი. ლეიბნიცმა შეასწავლა მას გერმანული სახელმწიფო სამართალი. სტეფანის ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა კომპოზიტორთან ჰენდელთანაც, რომლის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა აგოსტინო სტეფანის ვოკალურმა ნაწარმოებებმა.

აგოსტინო სტეფანი 1706 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოიხსენიება, აგრეთვე, როგორც ქალაქ სელცის¹¹ მონასტრის წინამძღვარი. კარარასა და სელცის მონასტრებიდან აკრეფილი თანხა გახდა მისი საეკლესიო შემოსავლების ძირითადი წყარო.



**აგოსტინო სტეფანის
საფლავის ეპიტაფია
ფრანკფურტის საკათედრო
ტაძარში**

მოგვიანებით, სტეფანი უკვე ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. ამ ფაქტზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 1728 წელს ჰანოვერიდან ფრანკფურტში საგანგებო დიპლომატიური მისიით ჩასულმა ელჩმა გასაყიდად წაიღო პირადი ბიბლიოთეკის წიგნები და სურათები, რომელთა საერთო ღირებულება დღევანდელ 3000 დოლარს არ აღემატებოდა. ფრანკფურტში ჩასული 74 წლის სტეფანი მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით. კომპოზიტორი დაკრძალეს ფრანკფურტის წმ. ბართოლომეს სახელობის ტაძარში.

ბიოგრაფები გვანვდიან სხვა საინტერესო ცნობასაც: აგოსტინო სტეფანის არქივი მოთავსებული იყო სამ სკივრში, რომელთაგან ერთში გახლდათ ხელნაწერი ნოტები, დანარჩენ ორში – დიპლომატიური და საეკლესიო მიმონერის ამსახველი დოკუმენტები. ნოტები, რომელიც გადასცეს კომპოზიტორის ნათესავებს, დაკარგულად ითვლება, სტეფანის დიპლომატიური მიმონერის ამსახველი მანუსკრიპტები კი დაცულია რომის „წმინდა კონგრეგაციის“¹² ე. წ. „სპიგის ფონდში“. გაურკვეველი ბედი ერგოთ აგოსტინო სტეფანის ნაქონ წიგნებსაც, რომელთა დიდი რაოდენობა გაიყიდა ფრანკფურტში და, სავარაუდოდ, გაბნეულია კერძო პირებისა და ევროპის დიდ ბიბლიოთეკებში. ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩვენი ეგზემპლარები, ბავარიელ დიდებულთა საკუთრება გამხდარა. ზემოთ აღნიშნული ორტიომეულის ერთ-ერთი ბოლო მფლობელი ყოფილა ჰამბურგის ბუკინისტური მაღაზიის მეპატრონე ე. ჯ. ჰეფსლერი. გამოცემის პირველ ტომს დაკრული აქვს ამ ბუკინისტის ეტიკეტი.

რაც შეეხება აგოსტინო სტეფანის ექსლიბრისებს, ელექტრონული რესურსების ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ისინი დაცულია გერმანიის ქალაქ ვოლ-

10 ვიკარ-აპოსტოლი – ეპისკოპოსი, რომელიც განაგებს ისეთ ტერიტორიულ ერთეულს, სადაც ჯერ არ არის დამკვიდრებული რომის კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება და არ არის ფორმირებული ეპარქია.

11 სელცი – კომუნა საფრანგეთში, ქვემო რეინის დეპარტამენტში.

12 რომის წმინდა კონგრეგაციის სრული ლათინური სახელწოდებაა: „Sacra Congregatio Gentium Evangelizatione Seu de Propaganda Fide“.

ფენიუტელის „ჰერცოგ ავგუსტის ბიბლიოთეკაშიც“. ორივე ექსლიბრისზე მინიშნებულია, რომ ისინი ბიბლიოთეკის ფონდში შემოსულა ბიბლიოფილ ბერლეკშ გოტლობის (1786–1877) კოლექციიდან. აქვე აღნიშნულია მათი დაბეჭდვის სავარაუდო წლები: 1651–1700. სხვა ინფორმაცია ამ გერბული ნიშნების მფლობელის შესახებ ბიბლიოთეკის ექსლიბრისების ელექტრონულ კატალოგში დაფიქსირებული არ არის. ახლა მივყვით მოვლენათა თანმიმდევრობას და გავიხსენოთ, თუ როდის მიიღო აგოსტინო სტეფანიმ ექსლიბრისებზე აღნიშნული პრივილეგიები მის მიერ სხვადასხვა ქალაქების ეკლესია-მონასტრებისთვის განუღღვანულ ღვანულზე მითითებით. გერმანელების მიერ შედგენილი ბავარიელი მუსიკოსების ონლაინ-ლექსიკონის მიხედვით, აგოსტინო სტეფანის რეგალიების ჩვენთვის საინტერესო ჩამონათვალი ასე იკითხება:

„Musikalische Berufe Komponist, ...Cembalist, Organist, Sanger, Diskantist, Chorknabe. Weitere Berufe/Titel politiker, Professor, Geistlicher, Theologe, Diplomat, Rat, Abt,... Apostolischer Vikar und Delegat des Hl. Stuhles, Propst von Selz und Abt von St. Stephan in Carrara, Abt von Lepsing und des Papstlichen Stuhls Protonotarius, Capellmeister, Geheimder Rath, Biscoff zu Spiga...“

ამ მრავალფეროვან პროფესიათა შორის, მოხსენიებულია ყველა საეკლესიო ტიტული, რომლებიც აგოსტინო სტეფანიმ მიიღო თავისი ცხოვრების მანძილზე:

1674 წ. – მღვდელი;

1680 წ. – წინამძღვარი (აბატი);

1683 წ. – ლეპზინგის ტაძრის წინამძღვარი (აბატი);

1696 წ. – აპოსტოლ-პროტონოტარიუსი;

1706 წ. – სპიგის ეპისკოპოსი და ქალაქ სელცის მონასტრის წინამძღვარი (1728 წლამდე);

1708 წ. – კარარას წმ. სტეფანეს სამონასტრო კომპლექსის გამგებელი 1725 წლამდე (აგ. სტეფანის ევალეზბოდა ამ ეკლესიიდან შემოსული თანხის აკრება);

1709 – ვიკარ-აპოსტოლი: რომის პაპის წარმომადგენელი ჩრდილოეთ და სამხრეთ საქსონიაში.

აგოსტინო სტეფანის საეკლესიო რეგალიებთან ერთად ამ ჩამონათვალში აღნიშნულია, რომ ის იყო კაპელმეისტერი, პროფესორი და პოლიტიკოსი („საიდუმლო მრჩეველი“).

ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცული აგოსტინო სტეფანის ნაქონი ორნაწილიანი წიგნის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელ ექსლიბრისზე კათოლიკური ეკლესიის სიმბოლოს – მონასტრის კოშკის ქვეშ დაბეჭდილია შრიფტული აბრევიატურა – „Aug. Stef. Ab Lepsing. S. S¹³. Apost. Prothonot“. ნარწერა გვამცნობს, რომ ეს წიგნი ეკუთვნოდა ვინმე „ავგ. სტეფ.“-ს, ვატიკანის წარმომადგენელ აპოსტოლ-პროტონოტარიუსს ლეპზინგიდან. ექსლიბრისის დაბეჭდვის დროს ის უკვე გახლდათ აპოსტოლ-პროტონოტარიუსიც და ეპისკოპოსიც. ამაზე მეტყველებს ნარწერა და გერბის ზედა ნაწილის სიმბოლიკა (ეპისკოპოსის მიტრა და პროტონოტარიუსის ქუდი). აღნიშნული ტექსტის იდენტიფიკაციაში დაგვეხმარა სხვა წყაროებიც, სადაც აგოსტინო სტეფანის წოდება ზუსტად იგივე ტერმინითაა მოხსენიებული. ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში დაცულია 1699 წლით დათარიღებული აგოსტინო სტეფანის თეორიული ნაშრომი მუსიკის შესახებ, რომლის სათაური იწყება გერმანელი მოღვაწის ზემოაღნიშნული ტიტულით: „D. A. Steffani Abtes von Lepsing, des Heil...“. მიუხედავად ბიბლიოთეკის XVII საუკუნის მანუსკრიპტთა ჩამონათვალში, ნომრით 971(Ital1.) ხელნაწერის ავტორად მოხსენიებულია იგივე პიროვნება „Aug.

Stef. ab Lepsing. S. S. Apostol. Prothonot“. აგოსტინო სტეფანი ისტორიულ წყაროებში იწოდება „ლეპზინგელ აბატად“. ამიტომ მისი ბიოგრაფები ამ ტიტულს ყველაზე ხშირად მიმართავენ.

რაც შეეხება გამოცემის სხვა ტომზე დაცულ შედარებით დიდი ზომის, იდენტური სიმბოლოების შემცველ სტილიზებულ ექსლიბრისს, მის ლათინურენოვან ვრცელ აბრევიატურაზე აგოსტინო სტეფანის სახელთან ერთად მითითებულია პაპ კლემენტ XI-ის მიერ აგოსტინო სტეფანისთვის მინიჭებული და დოკუმენტურად დადასტურებული საეკლესიო რეგალიების სრული ნუსხა – ლეპზინგელი აბატის, სპიგის ეპისკოპოსის, კარარასა და სელცის მონასტრების წინამძღვრის, ვიკარ-აპოსტოლის ტიტულები: „Augustinus D.¹⁴. et A. S. G. Episc. Spigacen¹⁵. S. S. D. N.¹⁶ Clem. P. P. XI¹⁷. Prael. Dom.¹⁸. Et assis. Ad. Par. Septentr. Vic. Apost¹⁹. Praep. Seltz²⁰. Abb. Lepsing²¹. Et S. Steph. Carr.“²²

შევეცადეთ ქართულად გვეთარგმნა ექსლიბრისის ზემოთ მოყვანილი ლათინური აბრევიატურა, რომელშიც ჩანს აგოსტინო სტეფანის მოღვაწეობის ამსახველი რეგალიები: „ოგოსტინუს ბატონი (ან მბრძანებელი), და სპიგის ეპისკოპოსი, მისი უწმინდესობის რომის პაპის, კლემენტ XI-ის პრელატი (ეპისკოპოსი), (და დამტკიცებული..), ჩრდილოეთის ვიკარ-აპოსტოლი, სელცის, ლეპზინგის და კარარას წმ. სტეფანეს მონასტრების წინამძღვარი.“

ექსლიბრისის ტექსტში ჩვენი ყურადღება მიიქცია რომის პაპის, კლემენტ XI-ის სახელმა. სწორედ პაპის – კლემენტ XI-ის დავალებით მართავდა აღნიშნული ქალაქების მონასტრებს მისი ნდობით აღჭურვილი მისიონერი ეპისკოპოსი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მარი-კატრინ ოლნუას თხზულების ორტომეულზე დაცული სამი ექსლიბრისიდან ორი ეკუთვნის XVII-XVIII საუკუნეების ცნობილ მოღვაწეს, აგოსტინო სტეფანის. ამის საბაბს იძლევა:

1. აგოსტინო სტეფანის რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტების შედარება ექსლიბრისების მონაცემებთან;
2. ექსლიბრისების ლათინურენოვან წარწერებში მოხსენებული ტიტულების ზუსტი თანხვედრა სტეფანის საეკლესიო რეგალიებთან.

აღნიშნული გამოცემის პირველი ტომის ექსლიბრისი დაბეჭდილია მეორე ტომის ექსლიბრისზე გვიან (1708–1721 წწ.), რომის პაპის მიერ აგოსტინო სტეფანის პადაუას ეპარქიაში, ქალაქ კარარას მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის შემდეგ.

ორტომეულის შინაარსი ლოგიკურადაა დაკავშირებული აგოსტინო სტეფანის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ეპიზოდთან: ელჩი, რომელიც ესპანეთსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარებას ცდილობდა, დაინტერესდა პოპულარული ისტორიული თხზულებით ფილიპ IV-ის დროინდელი ესპანეთის სამეფო კარის ცხოვრების შესახებ.

ვარაუდს ამ იშვიათი წიგნების პირველ მფლობელზე ამყარებს მესამე – განსხვავებული ჰერალდიკური ნიშნის წარმომავლობაც. აგოსტინო სტეფანის შემდეგ ორტომეულის მფლობელი გახდა კომპოზიტორის მეგობრის, ჰერცოგ მაქსიმილიან მეორე ემანუელის ვაჟი – კურფიურსტი კლემენს ავგუსტ ბავარიელი,²³ რომელიც სხვადასხვა დროს გახლდათ რეგენსბურგის, პადერბორნის, მიუნსტერისა და კიოლნის ეპისკოპოსი.

14 Augustinus D. – ოგუსტინუს, ბატონი (ან მბრძანებელი).

15 Episc. Spigacen – სპიგის ეპისკოპოსი.

16 Sanctissimus Dominus Noster (ლათ.) – მისი უწმინდესობა.

17 Clem. P. P. XI – რომის პაპი კლემენტ XI.

18 Prael. Dom. – Praelatus dominus (ლათ.) – მაღალი რანგის საეკლესიო მოხელე (აქ: რამდენიმე ეკლესიის მმართველი, მბრძანებელი).

19 Septentr. Vic. Apost. – ჩრდილოეთის (იგულისხმება საქსონიის ჩრდ. ნაწილი) ვიკარ-აპოსტოლი.

20 Praepositus Seltz – სელცის გამგებელი.

21 Abb. Lepsing – ლეპზინგელი (იგ. ლოპზინგელი) აბატი.

22 S. Steph. Carr. – კარარას წმ. სტეფანეს მონასტერი.

23 Clemens August Ferdinand Maria Hyazinth, Herzog von Bayern (1700–1761).

ბიბლიოგრაფია

1. Becker, Carl Ferdinand. Systematisch chronologische Darstellung der musikalischen Literatur von der frühesten bis auf die neueste Zeit: Nebst biographischen Notizen über die Verfasser der darin aufgeführten Schriften, und kritischen Andeutungen über den innern Werth derselben. Vol 2, R. Friese, 1836.
2. Bruzen de La Martinière, Antoine-Augustin. Abrege portative dictionnaire geographique de la Martiniere. Paris: Mercier, 1759.
3. Kaufolde, Claudia; Strohmann, Nicole. Agostino Steffani (Europäischer Komponist, hannoverscher Diplomat und Bischof der Leibniz-Zeit). Gottingen: V&R unipress GmbH, 2017.
4. Lindgren, L.; Timms, C. The Correspondence of Agostino Steffani and Giuseppe Riva 1720–1728, and Related Correspondence with J. P. F. von Schönborn and S.B. Pallavicini. Royal Musical Association Research Chronicle. N. 36, 2003.
5. Robert, Paul. Le Petit Robert des Noms Propres. Paris: Dictionnaires Le Robert, 2001.
6. Timms, Colin. Polymath of the Baroque. New York: Oxford University Press, 2003.
7. Музыкальная Энциклопедия. Москва: „Советская энциклопедия“, 1981.
8. მიუნხენის ციფრული ბიბლიოთეკა (<https://www.digitale-sammlungen.de/index.html?c=suchen&ab=&kl=&l=en>)
9. ბავარიელი მუსიკოსების ონლაინ ლექსიკონი (<http://bml.o.de/s1721>)





„უცნობთა აკადემია“ და მისი გამოცემები

ბაროკოს ეპოქის XVII საუკუნის იტალიური კულტურა წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ჯოვანი (ჯიან) ფრანჩესკო ლორედანის²⁴ გარეშე. ვენეციის რესპუბლიკის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ განაპირობა განათლებული ელიტარული საზოგადოების სწრაფვა თავისუფალი აზროვნებისა და კულტურული სეპარატიზმისაკენ. ამ გარემოში აღზრდილ ნიჭიერ ვენეციელ პატრიცს, შემდგომში ვენეციის სენატორს – ჯოვანი ფრანჩესკოს ახალგაზრდობიდანვე მრავალმხრივი ინტერესი გააჩნდა. მას შემოქმედებითი გარდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობაც იზიდავდა, რისთვისაც შესანიშნავად გამოიყენა შთამომავლობით მიღებული ეკონომიური მდგომარეობა. 1630 წელს მან დააარსა იტალიაში მანამდე არნახული მასშტაბის აკადემია, რომელსაც „Academia degli incogniti“ – „უცნობთა აკადემია“ ეწოდა. XVI-XVII საუკუნეების იტალიაში ხუთასამდე არაოფიციალური აკადემია არსებობდა. ეს ალტერნატიული სამეცნიერო სტუდიები ხალხის ყურადღებას იპყრობდნენ იმ დროის უნივერსიტეტების ტრადიციული სასწავლო პროგრამებისაგან განსხვავებული საგნებით. „უცნობთა აკადემიას“ პადაუას უნივერსიტეტში ჰქონდა თავისი სასწავლო ცენტრი, სადაც მისი იდეურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის მთავარი პროპაგანდისტი, არისტოტელეს მოძღვრების მიმდევარი, ფილოსოფოსი ჩეზარე კრემონინი ასწავლიდა. აკადემიის წევრთა მოღვაწეობის მიზანი გახლდათ ვენეციის რესპუბლიკაში რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის შემცირება და ამ პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობის პროპაგანდა.

„უცნობთა აკადემიის“ სულისჩამდგმელი ლორედანი ინტელექტუალებს აზრისა და ქცევის სრული თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. ახალი მოძღვრება ყველა ფილოსოფიურ და რელიგიურ დოგმას ეჭვქვეშ აყენებდა. საზოგადოების წევრები კამათის დროს გამოთქვამდნენ ორიგინალურ მოსაზრებებს, რაც საშუალებას აძლევდათ გაეფართოებინათ ფანტაზია და მსოფლმხედველობრივი თვალსაწიერი. უცნობთა აკადემიის „პრინცი“, ჯოვან ლორედანი შედიოდა ვენეციის რესპუბლიკის მმართველი პატრიციების „ათეულთა საბჭოში“. ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მას ჰქონდა რომაული ცენზურასთან ხელსაყრელი ხელშეკრულება, ფინანსები და შეუზღუდავი ძალაუფლება. აკადემიის წევრთა იდეები ნაბეჭდი პროდუქციის სახით ვრცელდებოდა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; „უცნობთა აკადემიის“ წევრთა გამოცემები, მათ შორის პოლიტიკური და ფილოსოფიური ტრაქტატები მრავალრიცხოვანი ტირაჟით იბეჭდებოდა ვენეციის დიდ და პატარა სტამბებში.

24 Giovan Francesco Loredan (ან: Loredano) – დაბ. 1607 წ.(ვენეცია) – გარდ. 1667 წ. (პესკერა დელ გარდა).



ჯ. ფ. ლორედანის პორტრეტი წიგნიდან „Le glorie degli incogniti“



ჯ. ფ. ლორედანის პორტრეტის სხვა ვარიანტი (მხატვარი: Gualdo Ritratto. 1659 წ.)

გაყიდული წიგნებიდან მიღებული შემოსავალი აკადემიის ერთპიროვნულ მმართველსა და ნიჭიერ ორგანიზატორს დიდ ფინანსურ მოგებას აძლევდა. ლორედანის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ მას სიცოცხლეშივე გამოუჩნდა ორი მებოტბე: მწერლის ცხოვრება რეალისტურად აღწერეს მისმა თანამედროვეებმა – გაუდენციო ბრუნაჩიმ (1662 წ.) და ანტონიო ლუპისმა (1663 წ.).

ჯოვანი ლორედანის გონივრული მმართველობის წყალობით, აკადემია მალე რესპუბლიკის არაოფიციალურ პოლიტიკურ მმართველ ძალად გადაიქცა. საზოგადოების წევრები იყვნენ ვენეციისა და იტალიის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები: არისტოკრატები, მეცნიერები, მწერლები და უბრალოდ ერუდიტები – ქალები და მამაკაცები. საინტერესოა, რომ ამ პოპულარულ სალონში გამართულ დისკუსიებში მონაწილეობდნენ სენატორები და სამღვდლო პირებიც კი. სანტა მარია ფორმოზას მოედანზე მდებარე ლორედანის სასახლეში, როგორც ინკვიზიციისა და ცენზურისაგან დაცულ უსაფრთხო თავშესაფარში, ორშაბათობით იკრიბებოდნენ ჯგუფის მუდმივი წევრები. მათი უმეტესობა სალონში ნიღბით მიდიოდა, რათა წაშლილიყო წევრებს შორის სოციალური იერარქია. ნიღბი საშუალებას აძლევდა აკადემიის „უცნობ“ წევრებს, თავისუფლად გამოეხატათ თავიანთი აზრები, ის აიძულებდა დისკუსიაში მონაწილეს პატივისცემით გამსჭვალულიყო ოპონენტისადმი. „უცნობთა აკადემიის“ მოღვაწეობის პერიოდში ნიღბოსანთა ვენეციურმა კარნავალმა, როგორც ინტელექტუალური ელიტის მიერ მართულმა თეატრალიზირებულმა ღონისძიებამ, მთელს ევროპაში გაითქვა სახელი.



ჯ. ფ. ლორედანის სახლი ვენეციაში

აკადემიის სალონში კითხულობდნენ ყველა მიმდინარეობის ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ და კამათობდნენ რელიგიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, პოლიტიკისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე, ატარებდნენ თამამ შემოქმედებით და ლიტერატურულ ექსპერიმენტებს. სკეპტიკურმა მიდგომამ სულის უკვდავებისა და ადამიანის ამქვეყნიური როლის შესახებ, სტუდიის წევრები მიიყვანა ყველა აქამდე ჩამოყალიბებული შეხედულებების უაზრობის აღიარებამდე. რწმენის დაკარგვას ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეც, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლიბერტინიზმსა და გარყვნილებაში გადადიოდა. აკადემიის ლოგოზე გამოხატული იყო მათი იდეური მრწამსის შესაბამისი უძველესი სიმბოლო – მდინარე ნილოსი და წარწერა დევიზით: „Ex ignoto notus” – „უცნობიდან ცნობილი”.²⁵ ლოგოს ზედა მხარეს დაფნის გვირგვინით გარემოცული ლორედანის საგვარეულო გერბია. გვირგვინი, ეგვიპტური ჯვრის მსგავსად, „სიცოცხლის მარყუჟითაა“ შეკრული. „უცნობთა“ სიმბოლური დევიზის ავტორია წმინდა მარკოზის ორდენის კავალერი, პოეტი და მწერალი გვიდო კაზონი, მხატვარი – ფრანჩესკო რუსკი, გრავიორი – ჯაკომო პიკინი. ასოციაციამ 1638 წლიდან ოთხჯერ გამოსცა ჯოვანი ლორედანის მონოგრაფია – „Bizzarie accademiche”(„აკადემიური უცნაურობანი“), სადაც ავტორის პარადოქსული მორალურ-ფილოსოფიური შეხედულებები თეორიული მსჯელობის (დისკუსიის) ფორმით იყო გაცხადებული; მეორე მნიშვნელოვან გამოცემად იქცა ასოციაციის გერბით დამშვენებული – „Le glorie degli incogniti” („უცნობის დიდება“). ამ უკანასკნელში აკადემიის ას ორმოცდაათი საამაყო წევრის ბიოგრაფია და პორტრეტები იყო დაბეჭდილი. „უცნობთა“ მრავალი გამოცემა, ცენზურისაგან თავდაცვის მიზნით, ანონიმური გახლდათ.



ვენციური კარნავალის მონაწილენი (ნახატი XVII საუკუნის ალბომიდან)

25 სიტყვაში: „უცნობი“ იგულისხმება მდ. ნილოსის ჯერ კიდევ აღმოუჩენელი სათავე, რომელიც სიმბოლურად სამყაროს ამოცნობ, მისტიურ სანყის განახლებებს. მდინარის წყალუხვი დინება კი ის „ნაცნობი“ მოცემულობაა (ან შედეგია), რომლის ახსნასაც ლოგიკური მსჯელობის საშუალებით ცდილობდნენ ზემოთ აღნიშნული აკადემიის წევრები.



**„უცნობთა აკადემიის“ გერბი
მხატვარი – ფრანჩესკო რუსკი, გრავიორი – ჯაკომო პიკინი**

„უცნობთა აკადემიის“ ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ლიტერატურის ისეთი ჟანრების პოპულარიზაციას, როგორიცაა: რომანი, რიტორიკული ესე, მოთხრობა, ნოველა, ბიოგრაფიული ნარკვევი, ლირიკული პოეზია, პოემა, საოპერო ლიბრეტოები და პიესები ახლებური სპექტაკლებისთვის. აკადემიას ჰქონდა თავისი საკუთარი თეატრი „Novissimo“ („უახლესი“), სადაც განხორციელდა ევროპაში ერთ-ერთი პირველი საოპერო დადგმები. საზოგადოების წევრებმა დააფასეს ქალების შემოქმედებითი შესაძლებლობები და თეატრალურ სპექტაკლებში როლები მათთვისაც გაითვალისწინეს. „უცნობთა აკადემიაში“ პირველად დაისვა ცენზურისაგან პრესის გათავისუფლების საკითხი. სალონში გაერთიანებულმა 295 ლიტერატორმა არსებითი გავლენა მოახდინა ვენეციური ნაბეჭდი პროდუქციის სიუხვესა და ევროპის სახელმწიფოებთან წიგნებით ვაჭრობის ზრდაზე.

აღნიშნული საზოგადოების ეგიდით დაბეჭდილი ყოველი წიგნისა და ბროშურის უკან იდგა ჯიო ლორედანი – გამოცემებზე პასუხისმგებელი პირი, ნიჭიერი ორგანიზატორი და მწერიალი. თავად ლორედანის თხზულებები ცალკეული წიგნებისა და ბროშურების სახით მე-17 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მრავალჯერ გამოიცა ვენეციაში, მათ შორის ჯოვანი გუერილისა და ჯაკომო სარზინას სტამბებში. მათი გამოცემებიდან ზოგიერთი მათგანი დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად შეიძლება ჩაითვალოს.

აკადემიელი მწერლების უმეტესობას იზიდავდა ძველი კლასიკური ეპოსი, პოეზია, ლეგენდები, ისტორია და რელიგიური თემატიკა, მაგრამ მათი შემოქმედება არ გახლდათ მხოლოდ ძველი მოტივების გადამღერება. ლორედანის წიგნებშიც ჩანდა საკითხებისადმი ახლებური მიდგომა: ცოცხალი იუმორი, სატირა, ბურლესკი, სიმბოლური მეტამორფოზა და ფილოსოფიური მსჯელობა აქ ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული.


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის ერთ-ერთ გამორჩეულ კონვოლუტში²⁶ ყოფილი მფლობელის მიერ გაერთიანებულია ჯოვანი ლორედანის სიცოცხლის დროინდელი 1652–1655 წლებში დაბეჭდილი ცხრა განსხვავებული ჟანრის თხზულება. მათ შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა სატირული მოთხრობებისა და ბურლესკური პოეზიის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: „გასართობი ილიადა“, „სატრფიალო მოთხრობები“,

26 კონვოლუტი – თხზულებათა კრებული, რომელშიც წიგნის მფლობელის მიერ ერთადაა აკინძული რამდენიმე დამოუკიდებელი გამოცემა.

„ადამი“ და „სასაფლაოს შესაქცევი ეპიტაფიები“. კონვოლუტის ცხრა წიგნიდან რვა მწერლის სიცოცხლეშივე, ვენეციის სხვადასხვა სტამბებში დაბეჭდილი თხზულებების რეპრინტული გამოცემებია:

1. *L'iliade giocosa*. Publ. da Henrico Giblet cavalier. Terza impressione. Venetia: Appr. li Guerigli, 1654
გასართობი ილიადა (მეორე გამოცემა).
2. *Il cimiterio epitafi giocosi*. Venetia: Appr. li Guerigli, 1654
სასაფლაოს შესაქცევი ეპიტაფიები (მეორე გამოცემა).
3. *Historia Catalana trasportata dal francese*. Venetia: Appr. li Guerigli, 1653
კატალონიის ისტორია, თარგმნილი ფრანგულიდან (პირველი გამოცემა).
4. *Novelle amoroze*. Venetia: Appr. li Guerigli, 1653
სატრფიალო მოთხრობები (მეოთხე გამოცემა).
5. *Vita d'Alessandro terzo pontefice massimo*. Venetia: Appr. li Guerigli, 1653
დიდებული რომის პაპის, ალექსანდრე III-ის ცხოვრება (მესამე გამოცემა).
6. *L'Adamo*. Venetia: Appr. li Guerigli, 1653
ადამი (მეოთხე გამოცემა).
7. *Vita di s. Giovanni Vescoou traguriense; All'illustriss. sig. sig. mia offeruandiss. La signora Maria Cristina Malaspina*. Venetia: Appr. li Guerigli, 1655
სახელგანთქმული ტრაგურიელი ეპისკოპოსის, ჯოვანი ვესკოვოს ცხოვრება (მესამე გამოცემა).
8. *Sensi di devotione soura i sette salmi della penitenza di Dauide*. Venetia: Appr. Guerigli, 1652
ნეტარების განცდა დავითის სინანულის შვიდ ფსალმუნში (მეორე გამოცემა).
9. *Gradi dell'anima parafrase soura li salmi gradvali di Davide*. Venetia: Appr. li Guerigli, 1652
სულის გრადაცია დავითის ფსალმუნთა საგალობლებში (პირველი გამოცემა).






„გასართობი ილიადა“. წიგნის თავფურცელი

„უცნობთა აკადემიის“ მიერ დამკვიდრებულ სიახლედ ითვლება საგამომცემლო თავფურცლის წინ გრავირებული ავანტიტულის, ანუ „ანტიპორტას“ ჩართვა. „ანტიპორტა“ სპილენძის საგრავიურო დაფაზე დაბეჭდილი გრავირებით იყო დამშვენებული და სიმბოლური ნახატებით ხსნიდა წინამძღოლების დედააზრს. ამ მიგნებამ ვიზუალურადაც მიზიდაველი გახადა აკადემიის სტამბებში გამოცემული ორიგინალური შინაარსის წიგნები. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცული ლორედანის თხზულებათა ავანტიტულებიც ალეგორიული შინაარსის გრავირებითაა ილუსტრირებული. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შემოიკრიბა და ვენეციურ გამომცემლობებში დაასაქმა ნიჭიერი იტალიელი მხატვრები: ნიდერლანდელი – დანიელ ვან დენ დაიკი, ფრანჩესკო რუსკი და ჯაკომო პიკინი, „რომელთაც ათეული წლების განმავლობაში თავიანთი ფანტაზიის წყალობით სულ უფრო მეტი ნიუანსი და გრაფიკული სიღრმე შესძინეს თავის ნამუშევრებს“.²⁷ ლორედანის წიგნების ავანტიტულთა ილუსტრაციების დეკორში ოსტატურადაა ჩართული თხზულების ავტორისა და შინაარსის აღმნიშვნელი წარწერები, ხოლო ქვემოთ მითითებულია მხატვარების გვარები: D. Vandich, Jac. Picini, F. Ruschi (ან: F. R.) და Io. Giorgi (იოჰან გეორგი).

27 Trevisan, Luca; Zavatta, Giulio. Incisori itineranti nell'area veneta nel Seicento: dizionario bio-bibliografico. Università degli studi di Verona, 2013, p. 24.



„კატალონიის ისტორია“. წიგნის ავანტიტული ავტორის პორტრეტით



ვალენროდების საოჯახო ბიბლიოთეკის ექსლიბრისი

მწერლის თხზულებების კრებული ჩასმულია თეთრი ტყავის ყდაში. წიგნის წინა ფორზაცზე დაკრულია პრუსიელი დიდებულების, ბიბლიოფილ ვალენროდების საოჯახო ბიბლიოთეკის შავ-თეთრი ჰერალდიკური ექსლიბრისი.

ექსლიბრისის წარწერა გვამცნობს: „ვალენროდების საგვარეულო, რომელიც დასაბამს იღებს თავისი სახელოვანი წინაპრებისგან, ამ ბიბლიოთეკას აარსებს შთამომავლებისთვის. წიგნების კოლექციით გულმოდგინედ სარგებლობისას მკითხველს ვთხოვ, პატივი მიაგოს ჩემი წინაპრების ხსოვნას“.

ვალენროდების ცნობილი საგვარეული ბიბლიოთეკის ფონდი სათავეს იღებს პრუსიის ერუდიტი კანცლერის, გრაფ მარტინ ფონ ვალენროდის (1570-1632) საოჯახო ბიბლიოთეკიდან. მარტინ ვალენროდი ბევრს მოგზაურობდა, ივსებდა ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან და მთელი ცხოვრების მანძილზე გატაცებით აგროვებდა საინტერესო გამოცემებს. ამ წიგნებს შორის უხვად იყო ტყავის ყდებში აკინძული განსაკუთრებული, იშვიათი ეგზემპლარები. კანცლერის მიერ დაწყებული ტრადიცია გააგრძელეს მისმა შვილებმა. მარტინ ვალენროდის მიერ შეგროვებული 3000-მდე წიგნი შთამომავლობით გადაეცა მის უმცროს შვილს, იოჰან ერნსტს – პრუსიის საჰერცოგოს ლანდჰოფმაისტერსსა და ტრიბუნალის მრჩეველს, რომელმაც 1000 ტომით გაამდიდრა საოჯახო ბიბლიოთეკა. 1718 წელს მარტინის შვილიშვილმა ერნესტომ²⁸ საგვარეულო ბიბლიოთეკას შესწირა 2000 წიგნი. შემოთ დასახელებული კონვოლუტის პირველი თხზულების („გასართობი ილიადას“) თავფურცლის ძველი, იტალიური მი-

28 Ernst von Wallenrodt (1651-1735). მისი მამა გახლდათ მარტინ ვალენროდის ერთ-ერთი ვაჟი – გრაფი გოტფრიდ ფონ ვალენროდი.

ნაწერის მიხედვით, ეს წიგნიც მას შეუწირავს ბიბლიოთეკისთვის.²⁹ 1721 წელს ვალენროდებმა საოჯახო ბიბლიოთეკა სახელმწიფოს გადასცეს იმ პირობით, რომ მათი შთამომავლები შეინარჩუნებდნენ კურატორის უფლებას. 1758 წელს გამოცემული საოჯახო ბიბლიოთეკის კატალოგის მიხედვით, აღნიშნული კოლექცია ითვლიდა 4855 ბეჭდურ გამოცემასა და 107 ხელნაწერს. აქ იყო წიგნები: ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნებისა და მედიცინის სფეროდან. XIX საუკუნის შუა წლებამდე ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ათი ათას ერთეულიანი მზარდი ფონდი განთავსებული იყო კენიგსბერგის საკათედრო ტაძარში. 1909 წელს მისი ძირითადი ნაწილი (7000 ტომი) გადაეცა საუნივერსიტეტო და საქალაქო ბიბლიოთეკას. საკათედრო ტაძარში დარჩა მხოლოდ ძველნაბეჭდი და იშვიათი გამოცემები. 1944 წელს, კენიგსბერგის დაბომბვისას დაინგრა ტაძარი და მასთან ერთად განადგურდა წიგნების გაურკვეველი რაოდენობა. ვალენროდების გადარჩენილი ექსლიბრისიანი წიგნები დაცვის მიზნით გაიტანეს ქალაქიდან და საბჭოთა ჯარების მიერ გერმანული ქალაქის ოკუპაციის შემდგომ გადასცეს ახლა უკვე კალინინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ვალენროდების საოჯახო ბიბლიოთეკის არაერთი ეგზემპლარი გაიფანტა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და კერძო კოლექციებში. გერმანულ ბიბლიოფილთა ზემოთ დასახელებული წიგნი აღმოჩნდა საქართველოში და ამჟამად ის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის ფონდს ამშვენებს.

ბიბლიოგრაფია

1. Алешникова Т. Ю. Валленродская библиотека: Страницы истории//Калининградские архивы: Материалы и исследования. - Вып. 2. - Калининград, „Красная газета“, 2000.
2. Trevisan, Luca; Zavatta, Giulio. Incisori itineranti nell'area veneta nel Seicento: dizionario bibliografico. Università degli studi di Verona, 2013.



²⁹ იხ. მინაწერის ტექსტი ფორზაცზე, იტალიურ ენაზე: „Questo operette del loredano ha dato alla bibliotheca del Suo Zio Ernesto di Wallenrodt consigliere di Tribunale di Prussia“.

სტრეისის მოგზაურობა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტული წიგნების დიდ ნაწილს შეადგენს სამოგზაურო ჟანრის თხზულებები, რომელთაგან ბევრი საოჯახო დინასტიების, ან მოყვარულ ბიბლიოფილთა საკუთრება ყოფილა. ასეთი შინაარსის წიგნებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ XVII საუკუნიდან მოყოლებული, – იმ დროიდან, როდესაც საგრძობლად გაიზარდა საზოგადოების სწრაფვა შეუცნობელის შეცნობისაკენ. მოგზაურობის მიზანი არაერთგვაროვანი გახლდათ: ხშირად მას საფუძვლად ედო ამა თუ იმ მარშრუტის დამგეგმავთა ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კომერციული ინტერესებიც. მეცნიერ-მოგზაურთა მიერ შედგენილმა რუკებმა და ჩანაწერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შორეული ქვეყნების გეოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და ფაუნის, კლიმატის შესწავლის საქმეში. მოგზაურთა დაკვირვების სფეროში შედიოდა, აგრეთვე, სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ისტორიული წარსული, ყოველდღიური ყოფა და წეს-ჩვეულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის სამოგზაურო ჟანრის წიგნებს (ავტ.: შარდენი, ტურნეფორი, კლაპროტი, დიუბუა, დიუმა და სხვ.), რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიული სინამდვილეა ასახული, უკეთ იცნობს ჩვენი საზოგადოება. ბიბლიოთეკის ფონდი მდიდარია ასეთი შინაარსის სხვა, ნაკლებად ცნობილი გამოცემებითაც, რომლებშიც XVII-XVIII საუკუნის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეა აღწერილი. მათ შორის ზოგიერთი წიგნი განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩევა და მკითხველზე დაუვინყარ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთ გამოცემებს შორისაა იალქნების ჰოლანდიელი ოსტატის, იან იანსონ სტრეისის „სამი მოგზაურობის“ ფრანგული გამოცემა, რომელიც გაფორმებულია ავტორის ჩანახატების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციებით.


სტრეისი, სტრუისი ან შტრაუსი (Strauss) – ასე უწოდებენ ჰოლანდიელ მოგზაურს სხვადასხვა წყაროებში. ამ გვარის ფრანგული ვარიანტია „სტრუისი“, თუმცა ჩვენ მოვიხსენიებთ სტრეისად, როგორც ეს გვარი ჟღერს ჰოლანდიურ ენაზე. იან იანსონ სტრეისმა 1647–1673 წლებში სამჯერ იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნებული მეზღვაურის მონაყოლმა მსმენელებში იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომ მან გადაწყვიტა „მოგზაურობის ანგარიშის“ სახით გამოეცა წიგნი, სადაც მისი შთაბეჭდილებები დანვრილებით იქნებოდა მოთხრობილი. 1676 წელს ამსტერდამში, ჰოლანდიურ ენაზე, დაიბეჭდა სტრეისის წიგნის პირველი გამოცემა. ამ წლით დაიწყო იმ დროის ბესტსელერის სიცოცხლე. ორი წლის შემდეგ ის ითარგმნა ჯერ გერმანულ (1678 წ.) და შემდეგ ფრანგულ (1681 წ.) ენებზე. ცნობილია სტრეისის თხზულების მრავალრიცხოვანი გამოცემა სხვადასხვა ენაზე. თხზულების პირველი არასრული თარგმანი ჰოლანდიურიდან რუსულად განხორციელდა პეტრე პირველის დაკვეთით, ხოლო ერნა ბოროდინასა და ა. გაისინოვიჩის მიერ თარგმნილი სრული ტექსტი რუსულ ენაზე გამოიცა 1935 წელს. ყველაზე ზუსტ თარგმანად ითვლება ამ თხზულების პირველი გერმანული გამოცემა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცული სტრეისის თხზულების ფრანგული გამოცემა უძველესია მის თარგმანებს შორის. იგი დაიბეჭდა 1681 წელს ამსტერდამში სათაურით – „Les voyages de Jean Struys, en Moscovie, en Tartarie, en Perse, aux Indes...“ („იან სტრუისის მოგზაურობა მოსკოვში, ტარტარიაში, სპარსეთსა და ინდოეთში...“). წიგნის თავფურცელზე აღნიშნულია წიგნის ჰოლანდიური ენიდან მთარგმნელის გვარი – Glanius,³⁰ ფრონტისპისზე კი დაბეჭდილია კომპოზიცია სტრეისის თავგადასავლიდან.

30 W. Glanius – თხზულების ჰოლანდიურიდან ფრანგულ ენაზე მთარგმნელი.



წიგნის ფრონტისპიხი (კომპოზიციის სტრუქტურის თავგადასავლიდან)



იან სტრუისის 1681 წლის გამოცემის თავფურცელი

თხზულების ავტორი აღნიშნავს, რომ სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტა ზედმეტად მცაცრი მამისგან თავის დაღწევის მიზნით. მშობლისგან იგი უზიარა იალქნების კეთებისა და მართვის ხელოვნებას, რომელიც მან პრაქტიკულად გამოიყენა სხვადასხვა ხომალდებზე ყოფნისას. სტრუისის პირველი მოგზაურობა დაიწყო ამსტერდამიდან 1647 წელს, საიდანაც ჩავიდა გენუაში, მადაგასკარზე, სუმატრაში, სიამსა და იაპონიაში. 1651 წელს იგი დაბრუნდა ჰოლანდიაში და მეორე მოგზაურობიდან ოთხი წლის თავზე კვლავ გაემურა საზღვაო გზით ლივორნოში, ჩაენერა ვენეციის საზღვაო არმიაში, ებრძოდა თურქებს, ჩავარდა ტყვედ, განთავისუფლდა ტყვეობიდან და მოიარა იტალიის ქალაქები; მესამე მოგზაურობისას სტრუისი ჩავიდა მოსკოვში და ქალაქში ცხოვრების ორი წლის შემდეგ, მდინარეების – მოსკოვის, ოკისა და ვოლგის გავლით, პირველი რუსული ხომალდით – „ორიოლით“ (რომელსაც მართავდა კაპიტანი დევიდ ბატლერი) ჩავიდა კასპიის ზღვამდე; ის იმყოფებოდა ასტრახანში, სადაც სტეფანე რაზინის მიერ ასტრახანის აღების მოწმე გამსდარა. იქ სტრუისი ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულ კაზაკებს, მაგრამ მოახერხა გაქცევა და სასწაულებრივად გადარჩენილი ჩავიდა დაღესტანში. დაღესტანში იგი კვლავ აღმოჩნდა ადგილობრივი თათრის მონობაში; თათარმა ჰოლანდიელი მონა ას ორმოცდაათ აბაზად მიჰყიდა სპარს ვაჭარს – ჰაჯი მუჰამედ სალესს. ბოლოს იგი გამოისყიდა პოლონეთის ელჩმა შემახაში. შემახიდან სტრუისმა ქარავანთან ერთად გააგრძელა მოგზაურობა ისპაჰანამდე. 1675 წელს ის საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. ეს არის მოკლე მიმოხილვა იმ რთული მარშრუტისა, რომელიც განვლო ამ უცნაურმა ადამიანმა. სტრუისის მიერ აღწერილი სამი მოგზაურობის დროის საერთო ხანგრძლივობამ გასტანა 26 წელიწადს.³¹

რა იყო სტრუისის მოგზაურობის მიზანი და ვინ იყო ის სინამდვილეში: რომანტიკოსი მოგზაური, მეკობრე, მზვრავი თუ ავანტიურისტი? – ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენი გაგებით, ეს პიროვნება მოიცავდა ყველა მათგანის თვისებას. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ სტრუისის უცხო ქვეყნების მოვლისას მატერიალური და კომერციული ინტერესებიც ამოდრავებდა. მოგზაურისთვის ყოველი ახალი დღის გათენება სიცოცხლისთვის სახიფათო რისკთან იყო დაკავშირებული, ქონების მოხვეჭის სურვილი კი დიდი სტიმული უნდა ყოფილიყო ამხელა გზის გასავლელად.

31 იან სტრუისის პირველი მოგზაურობა მოიცავს 1647-1651 წლების პერიოდს, მეორე მოგზაურობა – 1655-1657 წლებს, მესამე კი – 1667-1673 წლებს.



სტეფანე რაზინის ხომალდი მდინარე ვოლგაზე

თხზულება შეიცავს იმავით ცნობებს იმ დროის ქვეყნების ისტორიული წარსულიდან, რაც აღნიშნულ გამოცემას თამამად მიუჩენს ადგილს განმანათლებლობის ეპოქის კულტურის ძეგლთა ნუსხაში.

თხზულებაში დანვრილებითაა აღწერილი XVII საუკუნის რუსული ქალაქები – ნოვგოროდი და მოსკოვი, საინტერესოაა გადმოცემული გლეხთა აჯანყების ისტორია დონელი კაზაკის, სტეფანე რაზინის მეთაურობით. რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ სტრეისის მონათხრობის ზუსტ თანხვედრას სხვა ისტორიულ წყაროებში ასახულ მოვლენებთან. სტეფანე რაზინმა, ავტორის სიტყვებით, „გაბედა და უშიშრად აღდგა მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის წინააღმდეგ“. აჯანყების წინა პერიოდში რაზინის ძმა მეფის ბრძანებით ჩამოახრჩვეს. ზოგი თვლის, რომ მისი პროტესტი შურისძიების გრძნობით იყო გამოწვეული. იან სტრეისს ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს და ობიექტურად მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე: „როგორც თვლიან, ეს იყო უკმაყოფილების მიზეზი და მისი ბარბაროსული სისასტიკის საბაბი. ეს არ არის მართალი, რაც იქიდან ჩანს, რომ ის იარაღით ხელში აღდგა არა მარტო რუსეთის მეფის, არამედ ირანის შახის წინააღმდეგაც, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია და მას უსამართლოდ არ მოჰქცევია“³² – წერს მოგზაური. სტრეისი, ამავე დროს, გაოგნებულია რაზინის აუხსნელი, უმოწყალო საქციელით. ამის დასტურად მოგზაური, რომელიც ასტრახანთან ტყვედ ჩაუვარდა რაზინის მეომრებს და თავად შეესწრო დაუჯერებელ ამბავს, ჰყვება თუ როგორ გადაადგოდ გემიდან არყით დამთვრალმა წინამძღოლმა სპარსი თავადის მშვენირი ასული. რაზინმა საყვარელი ქალი მსხვერპლად შესწირა თავის „მარჩენალ“ მდინარე ვოლგას. ნანახით შეძრწუნებულმა მოგზაურმა კაზაკთა მეთაურს „ცოფიანი ველური“ უწოდა.

32 Ян Стрейс. Три путешествия. М.: ОГИЗ-Соцэкгиз, 1935, ст. 5 (ტექსტის ფრანგული ენიდან მთარგმნელის, ა. გაისინოვიჩის წინასიტყვაობა).



ქალების შერჩევა ირანის შაჰის ჰარამხანისთვის

„სტრეისის მოგზაურობა“ მნიშვნელოვანი წყაროა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისა და ირანის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების შესასწავლად. წიგნის ავტორი ექსპრესიულად აღწერს თითოეულ დღეს, ბუნებას, დაკვირვებულ თვალს ადევნებს სხვადასხვა ჯურის ადამიანის ყოველდღიურ ყოფას, აღნიშნავს მისი ხასიათის თავისებურებებს.

სტრეისის თავგადასავალს რეალურ ელფერს სძენს ამბების დღიურის სახით გადმოცემა. სამოგზაურო ჟანრის თხზულებების კომპოზიციური წყობის ასეთ მეთოდს წარმატებით იყენებდნენ მწერალი-მოგზაურები. მაგალითად, ერთმა დღემ დაუვინყარი შთაბეჭდილება მოახდინა ავტორზე: ქალაქ შემახაში სტრეისისთვის დაუვალეობით მონაწილეობა მიეღო სპარსეთის შაჰის ჰარამხანისთვის ქალების შერჩევის პროცესში. უნდა შეერჩიათ 500 ლამაზი გოგონა ორი წლიდან ჩვიდმეტ წლამდე. ისპაჰანში ჩაყვანილ პატარა ბავშვებს სრულწლოვანებამდე ძიძები ზრდიდნენ. რაღა თქმა უნდა, ყველა შერჩეული ლამაზმანი ქალწული უნდა ყოფილიყო. მოგზაური ემოციურად აღწერს შემახადან ისპაჰანში გოგონების გამგზავრების დღეს. იგი წერს; „საშინელი სანახავი იყო ბავშვების მშობლებთან სამუდამოდ განშორების პროცესი, რადგან შვილებს კალთიდან აგლეჯდნენ საცოდავ დედებს, რომელთა მოთქმა და კივილი ცასა სწვდებოდაო“.



ჩერქეზი და ყალმუხი

„მესამე მოგზაურობაში“ მწერალი მოგვითხრობს ქალაქ შემახაში მომხდარ საინტერესო ამბავს: ერთ მდიდარ მუსლიმანს ძალზე ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, რომელსაც შეუყვარდა ღარიბი ქაბუკი. მამას არ მოსწონდა სასიძო და უარი უთხრა ქალიშვილის ხელის მთხოვნელს. როდესაც დაიწყეს ხანისთვის საცოლეთა შერჩევა, მშობელმა, შვილის დაკარგვის შიშით, გადაწყვიტა არასასურველი სასიძოსთვის გაეყოლებინა თავისი ქალიშვილი. უფრო მეტიც – მამამ ნება დართო სიძეს, ქორწინებამდე გაეზიარებინა სარეცელი მასთან, რათა ასეთი გზით შვილი გადაერჩინა.

კავკასიის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრეისის „მესამე მოგზაურობის“ ამსახველი მასალა: ისპაჰანისკენ მიმავალი მწერალი რუსეთიდან საქართველოსთვის გვერდის ავლით ჩასულა ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რომლებიც მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ირანის პროვინციებს წარმოადგენდა. ავტორი ხშირად მოიხსენიებს შემახაში დაბანაკებულ პოლონეთის საელჩოს უფროსს, ვინმე „ბოგდანს“. ეს პიროვნება წარმოშობით ქართველი პოლონელი დიპლომატი ბოგდან გურჯიციკია (ბუხტან-ბეგი, ან ბოგდან სპარსი), რომელმაც არა ერთი მამულიშვილი დაიხსნა მუსლიმანთა ტყვეობიდან. გურჯიციკიმ ჰოლანდიელი მოგზაურიც გაათავისუფლა ირანელი ვაჭრის მონობიდან. ისტორიული წყაროების მიხედვით, გურჯიციკი ოცდახუთი წლის განმავლობაში ასრულებდა პოლონეთის მეფის მუდმივი რეზიდენტის მოვალეობას სეფიანთა ირანის კარზე. სავაჭრო-რელიგიური ურთიერთობების გარდა, მისი საიდუმლო მისია იყო თურქეთის წინააღმდეგ ირანთან პოლონეთის სამხედრო-პოლიტიკურის კავშირის განმტკიცება. ბოგდან გურჯიციკი (ანუ „ბოგდან ქართველი“) ქართველი დიპლომატის პოლონური ფსევდონიმი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი არ არის დადგენილი, მაგრამ ვიცით, რომ პოლონეთში გამგზავრებამდე ის როსტომ მეფის ქვეშემრდომი აზნაური ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი მკვლევარის აზრს, თითქოს გურჯიციკი საგარეო პოლიტიკაში ირანულ ორიენტაციას ემხრობოდა, სარწმუნოდ შეიძლება მოგვეჩვენოს მაჰმადიანთა ახალი წლის დღესასწაულზე

მისი ქცევით გაოცებული ჰოლანდიელი მოგზაურის შენიშვნა: პოლონეთის საელჩოს ხელმომჭირნე უფროსობა, იმ საბაბით, რომ არ იზიარებდა მუჰამედის მიმდევართა დღესასწაულს, ზეიმის დღეს არ გაუმასპინძლდა თავის ხალხს. საელჩოს მშვიერი მუშაკები იძულებულნი გახდნენ მაჰმადიანთა ტრაპეზი გაეზიარებინათ. სტრეისის თქმით, მათ უფროსს, „ბოგდანს, სრულეებით არ ანალვლებდა, რომ თანამშრომლები სპარსელებთან ატარებდნენ დროს, რადგან ერთ დროს თვითონაც უნდოდა მიეღო მაჰმადიანობაო“. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, „ირანში ყოფნისას ბოგდანს ისლამიც მიუღია, მაგრამ შემდეგ კვლავ კათოლიციზმს დაბრუნებია“.³³ სტრეისი აღნიშნავს, რომ ბოგდანსა და მის ძმას ისპაჰანში შაჰისთვის მართლაც მიუძღრათა-ვთ მაჰმადიანთა „ჭეშმარიტ ღმერთთან“ ზიარების თხოვნით, მაგრამ უარი მიუღიათ. ავტორის სიტყვებით, მუსლიმანებმა უკვე იცოდნენ, რა მიზეზით იყო ნაკარნახევი მისი ჩანაფიქრი და „როგორ მღეროდა ეს ჩიტი“. ჰოლანდიელი მოგზაური ქართველ დიპლომატს ქეიფს გადაყოლილ „ქარაფშუტა ქართველს“ უწოდებს, სპარსელთა აზრით კი ის გახლდათ მოხერხებული ქრისტიანი, რომელიც ცდილობდა მათი ნდობის მოპოვებას. პოლონელი ისტორიკოსები ბოგდან გურჯიციკის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ: სამხედრო ასპარეზზე დამსახურებისთვის 1662 წელს მან სამეფო ჯარის როტმისტრის წოდება დაიმსახურა და პოლონეთის მეფისგან საჩუქრად მამულებიც მიიღო. პოლონელი ისტორიკოსი, სტანისლავ ზალენსკი წერდა: „ერთ-ერთი სხვა ელჩი, რომელიც დიდხანს მსახურობდა პოლონეთის მეფის რეზიდენციაში, სპარსეთის შაჰის კარზე, იყო მდიდარი კაცი, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე და პოლიტიკურ საქმეებში გამოცდილი მოღვაწე, რომელსაც დიპლომატიური მოღვაწეობისათვის შაჰ სულეიმანისაგან მიღებული ჰქონდა საკმაოდ დიდი მამულები შირვანის პროვინციაში. ეს ელჩი იყო ცნობილი ბარონი ბუხტან-ბეგი, პოლონეთის მეფის რეზიდენციაში ისპაჰანში და მაჰმადიანობის დროებით მიღების მიუხედავად, გახლდათ კათოლიკური მისიების მგზნებარე ქომაგი.“³⁴ გურჯიციკი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XVII საუკუნის საქართველოსა და პოლონეთს, ასევე საქართველოსა და ირანს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისითაც. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართლის მეფესთან, ვახტანგ მეხუთესთან. სტრეისის „მესამე მოგზაურობის“ XXIII თავში (გვ.: 246-247) დანვრილებითაა მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ გაუგზავნა გურჯიციკი ქართლის მმართველს თბილისში პოლონური წარმოშობის პირადი ექიმი „ქირურგი ადამი“. ქართლის მეფისგან გარკვეული პრივილეგიების შეთავაზების შემდეგ, ის ძლივს დაუთანხმებიათ უცხო ქვეყანაში გამგზავრებასა და იქ დარჩენასზე.

თხზულებაში ირანში მცხოვრებ ქართველთა შესახებ სხვა საინტერესო ეპიზოდებსაც შეხვდებით. ავტორი წერს, რომ ისპაჰანსა და ჰასანაბადში ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები – „გურჯები“, რომელთა შორის იყვნენ შესანიშნავი ვაჭრები. მეფე (ირანის შაჰი) აფასებდა ქართველებს მორჩილების, მშვიდობიანი ცხოვრების ნებისა და მათგან ვაჭრობით მიღებული შემოსავლის გამო. ირანის შაჰი ქართველებსა და სომხებს იმდენად ენდობოდა, რომ ქრისტიანული დღესასწაულების ფართოდ აღნიშვნასაც არ უკრძალავდაო. – ამბობს ის. სტრეისი გაკვირვებული იყო იმ ფაქტით, რომ ქართველებმა და სომხებმა სამი მოგვის ხსენების დღეს ისპაჰანის ქუჩებში მსვლელობა მოაწყეს. ისინი ცეკვავდნენ და იღებდნენ გათენებამდე.

ავტორმა წარმატებით გამოიყენა მოგზაურთა მიერ დამკვიდრებული, ამბების დალაგების ქრონოგრაფიული მეთოდი.³⁵ საქონლის გასაღების ბაზრების მაძიებელი ევროპელებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა წიგნში აღწერილი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი და ბუნებრივი სიმდიდრეები. ცნობები მეზღვაურის მიერ მოვლილი ადგილების შესახებ ზოგიერთ შემთხვევაში ემთხვევა გერმანელი გეოგრაფისა და ორიენტალისტის, ოლგარიუსის თხზულების ტექსტს. მაგრამ მწერალი თავის ნაწარმოებში ბევრ მანამდე უცნობ საკითხს ეხება.

ამ ორიგინალური თხზულების მიმზიდველობას განაპირობებს, ასევე მოვლენებისადმი

33 ტოროტაძე. ქეთი. „ბოგდან გურჯიციკი პოლონეთის ქართველი დიპლომატი“. „ისტორიანი“ (ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი). თბ., 2012, N12, გვ. 35.

34 ზედგინიძე, გურამ. ბოგდან გურჯიციკი დიპლომატიურ ასპარეზზე. თბ., თსუ, 1983, გვ. 51.

35 ქრონოგრაფია (ბერძნ.: „Χρονογραφία“) – ჟამთააღმწერლობა (თხზულებაში ამბების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემა).

ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება. მაგალითად, მესამე მოგზაურობაში ის აღწერს ბუნების კატაკლიზმებს, რომელთა მონმეც თავად გამხდარა. სტრეისი შეესწრო „მეტეორების წვიმას“ და ძლიერ მიწისძვრას შემახაში. ეს დამანგრეველი მიწისძვრა დადასტურებულია სხვა ისტორიულ წყაროებითაც. ბუნების სტიქიური მოვლენები ავტორის მიერ იმდენად შთამბეჭდავად დახატული, რომ ფანტასტიკური ფილმის კადრებს მოგვაგონებს. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სტრეისს, როგორც მწერლობაში სრულიად გამოუცდელ ადამიანს, არ შეეძლო ასეთი მხატვრული ნაწარმოების დაწერა. მათი მტკიცებით, აღნიშნული წიგნის ტექსტი, მეზღაურის მონაყოლის მიხედვით, შეთხზა ამსტერდამელმა ექიმმა, მოგზაურმა და მწერალმა ოლფერტ დაპერმა. წიგნის ავტორად დაპერის გამოცხადება ამ ეტაპზე ფაქტებით გაუმყარებელ ვარაუდად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ნაწარმოების ინგლისურ ენაზე გამომცემელი³⁶ სამუელ სმითი. ის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი ნამდვილად დაწერა იან სტრეისმა, თუმცა მისი თხზულების ზოგიერთი მონაკვეთი პლაგიატობის ნიშანს ატარებს.³⁷ სტრეისს მკვლევარისთვის საჭირო განათლება არ მიუღია და მოგზაურის ცნობებში შეიძლება უზუსტობაც აღმოვაჩინოთ. მიუხედავად ამისა, დასაბუთებულად ვერავინ უარყოფს თხზულებაში მოთხრობილი ამბების რეალურ საფუძველს. იალქნების ყოფილი ოსტატი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე აღიარეს ნიჭიერ მწერლად. სტრეისის თხზულების ინგლისურად მთარგმნელმა ჯონ მორისონმა მართებულად შეაფასა ამ თხზულების ერთ-ერთი ღირსება. ის წერდა: „მე ვთვლი რომ უფრო საინტერესოა მისი (სტრეისის) მდგომარეობის³⁸ გამომწვევ მიზეზთა აღწერა, რა ბედი ეწია მას ცალკეულ ადგილებში ყოფნის დროს, ვიდრე შენიშვნები ქვეყნების, ნიადაგის ხარისხის და იქ მყოფი ადამიანების შესახებ“.

იან სტრეისის მოგზაურობის ზემოთ აღნიშნული გამოცემის ტექსტი გაფორმებულია ოცი მაღალხარისხოვანი გრავიურით.³⁹ თხზულების სათაურიდან გამომდინარე, ეს საინტერესო სიუჟეტური ილუსტრაციები ავტორის ჩანახატების მიხედვითაა შექმნილი. ზოგიერთ მათგანზე მინერია ჰოლანდიელი გრავიორების – იოჰან კიპისა (6 გრაფ.) და კონრად დეკერის (3 გრაფ.) გვარები. სხვა შემთხვევებში, ოსტატთა ვინაობა არ არის მინიშნებული. დამაინტრიგებელი შინაარსის გრავიურებთან ერთად, წიგნში ჩართულია: პერსეპოლისის, ისპაჰანის, ასტრახანის, იუდეასა და საბერძნეთის კუნძულების - პატმოსისა და ტენოსის ხედეები. გამოცემის ერთ-ერთ გვერდზე დაბეჭდილია იან სტრეისის მიერ შედგენილი კასპიის ზღვის რუკა მის გარშემო მდებარე ხმელეთის ნაწილთან ერთად.

სტრეისის თხზულების ფრანგულენოვანი გამოცემა გამოირჩევა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით. ის დაბეჭდილია ავტორის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ ცნობილი ამსტერდამელი გამომცემლის, გრავიორისა და წიგნებით მოვაჭრის – იაკობ ვან მიორსის (Jacob van Meurs) სტამბაში. აღნიშნული სტამბა გეოგრაფიული წიგნების გამავრცელებელ წამყვან ტიპოგრაფიად ითვლებოდა ჰოლანდიაში. იაკობ მიორსის გარდაცვალების შემდგომ მესტამბის მიერ წამოწყებული საქმე განაგრძო მისმა მეუღლემ. მან გამოსცა სტრეისის პოპულარული თხზულების პირველი ფრანგული თარგმანიც, რომლის თავფურცელი შავი და წითელი საღებავების მონაცვლეობითაა დაბეჭდილი. ჰოლანდიური პირველწყაროს მსგავსად, აქაც მინდვრებზეა გატანილი აბზაცების რუბრიკები, ხოლო თითოეულ ნაწილს წინ უძღვის დეკორატიული, დახრილი შრიფტით აწყობილი ტექსტის მოკლე შინაარსი.

იან სტრეისის მოგზაურობათა ბიბლიოთეკისეულ ეგზემპლარს ახლავს წიგნის ერთ-ერთი მფლობელის, მიხეილ თამამშვიის მიერ მოპოვებული მე-19 საუკუნის სამი ზოგადგეოგრაფიული დასაკეცი რუკა: პირველი – ა. ჟობერის და პ. ლაპიეს მიერ შედგენილი რუკა 1821 წელს პარიზშია დაბეჭდილი და მოიცავს თურქეთის, სპარსეთის, საქართველოსა და ჩრდილოეთ

36 თხზულების ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა ლონდონში, 1683 წელს.

37 <https://www.reading.ac.uk/web/files/special-collections/featurestruysvoyages.pdf>

38 აქ იგულისხმება მოგზაურის საინტერესო თავგადასავალი, მისი ღრმა შთაბეჭდილებები, სულიერი და ემოციური მდგომარეობა.


39 „სტრეისის მოგზაურობის“ ფრანგულ ვერსიაში გამოყენებულია სპილენძის საგრავიურო დაფებზე დაბეჭდილი ილუსტრაციები ჰოლანდიური გამოცემიდან. ფრანგულ თარგმანში შეცვლილია მხოლოდ მათი თანმიმდევრობა.

კავკასიის ტერიტორიებს;⁴⁰ მეორე – საქართველოს, ჩერქეზეთსა და სომხეთის რუკა ჯონ ეროუსმიტის მიერ 1845 წელს ლონდონშია გამოცემული; მესამე, ინგლისურენოვან რუკაზე, გამოსახულია სომხეთისა და საქართველოს ტერიტორია. ეს უთარილო რუკა ამერიკელი მისიონერის, ელი სმიტის მიერ სომხეთში, მცირე აზიასა და საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, 1834 წელს, ლონდონში უნდა იყოს დაბეჭდილი.⁴¹

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნი ნამდვილი „ბიბლიოგრაფიული თაიგულია“. გამოცემის ფორზაცსა და თავფურცელზე მისი პირველი მფლობელის გერბული ექსლიბრისია. ექსლიბრისის შრიფტული წარწერიდან – „D. D. Le Tellier de Courtanvaux“ – ირკვევა, რომ ეს გამოცემა ფრანგი მეცნიერისა და მკვლევარის, ტონერის გრაფის, დუდოვილის ჰერცოგის, შვეიცარიის გვარდიის პოლკოვნიკის – ფრანსუა-სებარ ლეტელიე მარკიზ დე კურტანვოს (1718–1781) პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარი ყოფილა.



ფრანსუა-სებარ ლეტელიე მარკიზ დე კურტანვო



ფ. ს. მარკიზ დე კურტანვოს პირადი ბიბლიოთეკის ექსლიბრისი წიგნის ფორზაცზე

ფრანსუა-სებარ ლეტელიეს წინაპრები განთქმული ბიბლიოფილები ყოფილან. მარკიზის ერთ-ერთმა წინაპარმა, რეიშის არქიეპისკოპოსმა შარლ-მორისმა (1642–1710) თავისი საოჯახო ბიბლიოთეკის საგვარეულო ექსლიბრისებიანი 50000 წიგნი საჩუქრად გადასცა პარიზის წმინდა ჟენევიევის სახელობის ბიბლიოთეკას. მრავალმხრივ განათლებული პიროვნების, ასტრონომის, მექანიკოსისა და ისტორიკოსის, ფრანსუა-სებარ ლეტელიე დე კურტანვოს პირადი ბიბლიოთეკაც ითვლიდა სხვადასხვა შინაარსის წიგნების ათასობით ეგზემპლარს.


ფრანსუა ლეტელიეს შვილი შარლ-ფრანსუა (Charles-François Le Tellier, marquis de

40 ეს რუკა ახლავს წიგნს: Amédée Jaubert. Voyage en Arménie et en Perse fait dans les années 1805–1806. Paris: Félicier et Nepveu, 1821.

41 იგივე რუკა, მცირე განსხვავებით, ჩართულია წიგნში: Smith, Eli; Dwight, H. G. O. Missionary researches in Armenia: including a journey through Asia Minor, and into Georgia and Persia: with a visit to the Nestorian and Chaldean Christians of Oormiah and Salmas. London: G. Wightmann, 1834.

Montmirail) 29 წლის ასაკში მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. მას ოცნებად ჰქონდა დაებეჭდა თავისი მრავალრიცხოვანი სამოგზაურო წიგნების ბიბლიოგრაფია კრიტიკულ მიმოხილვასთან ერთად. შარლ-ფრანსუა თვლიდა, რომ მოგზაურთა მიერ გამოცემული ლიტერატურა, იქ დატული ამოუნერავი ინფორმაციის გამო, მეცნიერებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. სამუნხაროდ, ახალგაზრდა მარკიზმა თავისი წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის გაკეთება ვერ მოასწრო, რადგან 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამამ, ფრანსუა ლეტელიემ, ეს ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით გაამდიდრა. მისი სიკვდილის შემდეგ საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნები გასაყიდად გამოფინეს პარიზში, რიშელიეს ქუჩაზე მდებარე მარკიზ დე კურტანვოს სასტუმროში. წიგნების გაყიდვამდე ფრანგ გამომცემელს, ჟან-ლუკა ნიონს დაავალეს კერძო ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა. მამა-შვილ ლეტელიეთა საგვარეულო ბიბლიოთეკის სრული კატალოგი⁴² 1782 წელს გამოიცა პარიზში. მასში 1909-ე ნომრად შეტანილია „სტრეისის მოგზაურობათა“ პირველი ფრანგული გამოცემა. გამოცემულ ბიბლიოგრაფს კატალოგში არ მიუთითებია წიგნის ავტორის გვარი, ხოლო თავფურცლის სათაურის შემოკლებული ტექსტი არაზუსტადაა გადმოცემული.⁴³ არ არის გამორიცხული, რომ ამ საოჯახო ბიბლიოთეკის კატალოგში სწორედ ზემოთ დასახელებული ეგზემპლარია მოხსენიებული. ლეტელიეთა კოლექციის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი იშვიათი წიგნების განსაზღვრული რაოდენობა შეისყიდა საფრანგეთის სამეფო და ნაციონალურმა ბიბლიოთეკებმა, ლიტერატურის ნაწილი კი მოხვდა ბუკინისტურ მალაზიებში, კერძო კოლექციებსა და სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებში.

სტრეისის პოპულარული გამოცემის ბედი შემდგომში საქართველოს უკავშირდება: ცნობილმა თბილისელმა მეცენატმა და კავკასიოლოგმა მიხეილ თამამშევმა იან სტრეისის მოგზაურობის 1681 წლის გამოცემის ეს ეგზემპლარი, სავარაუდოდ, ბუკინისტებისაგან შეიძინა საფრანგეთში ცხოვრების პერიოდში. მეცენატის სიკვდილის შემდეგ, მისმა დამ, მიხეილ თამამშევის ანდერძის თანახმად, საოჯახო კოლექცია გადასცა ალ. პუშკინის სახელობის თბილისის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკას, სადაც საგანგებოდ დამზადებული ბეჭდით აღნიშნეს შემოსული ლიტერატურა. ამავ ბიბლიოთეკის ეგედით 1912 წელს დაბეჭდილი თამამშევის წიგნების თემატურ კატალოგში ზემოთ აღნიშნული გამოცემა რატომღაც არ შეუტანიათ. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ალ. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი გადაეცა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკას. ამ დროიდან სტრეისის მოგზაურობის პირველი ფრანგული თარგმანი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება.



მარკიზ დე კურტანვოს წიგნების კატალოგის თავფურცელი

42 Catalogue des livres de la bibliothèque de feu François-César Le Tellier, marquis de Courtanvaux, capitaine-colonel des Cent-Suisses, dont la vente se fera en détail, le lundi quatre mars et jours suivans de relevée. Paris: Nyon l'ainé, 1782.

43 ჩანაწერი N1909 მარკიზ დე კურტანვოს წიგნების კატალოგიდან: „Les Voyages du meme, en Moskovie, Tartarie, Perse, aux Indes et en plusieurs autres pays etrangers, avec la relation du naufrage d'un vaisseau Hollandois, et un traite de malheurs arrives dans Astracan, par Glanius. Amsterdam: Van Meurs, 1681, p. 164.

P. S.: ალექსანდრე პუშკინს პირად ბიბლიოთეკაში ჰქონია სტრეისის თხზულების პირველი არასრული თარგმანი, რომელსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. პოეტს განსაკუთრებით ხიბლავდა დონელი კაზაკების აჯანყების თემა და თავისუფლებისთვის მებრძოლი სტეფანე რაზინის რომანტიკული პიროვნება. მოგვიანებით, სტრეისის ცნობები გლახთა ომის შესახებ საფუძვლად დაედო მის ერთ-ერთ ლექსს – „სიმღერა სტეფანე რაზინზე“.

ბიბლიოგრაფია

1. ზედგინიძე, გ. ბოგდან გურჯიცი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., თსუ, 1983.
2. ტოროტაძე, ქ. „ბოგდან გურჯიცი პოლონეთის ქართველი დიპლომატი“. „ისტორიანი“ (ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი), თბ., 2012, N11.
3. Catalogue des livres de la bibliothèque de feu François-César Le Tellier, marquis de Courtanvaux, capitaine-colonel des Cent-Suisses; dont la vente se fera en détail, le lundi quatre mars et jours suivans de relevée, Paris, Nyon l'ainé, 1782.
4. Smith, Eli; Dwight, H. G. O. Missionary researches in Armenia: including a journey through Asia Minor, and into Georgia and Persia, with a visit to the Nestorian and Chaldean Christians of Oormiah and Salmas. London, G. Wightmann, 1834.



უნიკალური „სამეგობრო ალბომი“ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

გვიანი შუა საუკუნეების ევროპის ისტორიამ და კულტურამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნობრივად დემოკრატიული ღირებულებების შეცნობასა და დამკვიდრებაში. რეფორმაციის პერიოდში (XVI-XVII სს.) რომის ეკლესიის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას და კათოლიკური ეკლესიის სქოლასტიკურ დოგმებს დაუპირისპირდა პროტესტანტული მოძრაობა, რომელმაც დაინახა გარდაუვალი აუცილებლობა დაეცვა საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შებღალული ეროვნული ინტერესები. პროტესტანტი ლიდერების მსოფლმხედველობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰუმანიტური იდეოლოგიის ფორმირებაში. ახალი მიმდინარეობის ფუძემდებლის, გერმანელი მღვდლის, პროფესორისა და თეოლოგის, მარტინ ლუთერის მოძღვრებას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. სწორედ ისინი იწოდებოდნენ პირველ პროტესტანტებად. გერმანიის პარალელურად, საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ევროპაში გაჩნდა რეფორმატორული მოძრაობის ახალი ტალღა, რომელიც ფრანგი თეოლოგის, ჟან კალვინის ქადაგებებს ეფუძნებოდა. კალვინისტები, ლუთერანების მსგავსად, უარყოფდნენ მთელ რიგ საეკლესიო რიტუალებს და ქრისტიანული ღვთისმსახურების ამოსავალ წერტილად ბიბლიასა და სახარებას მიიჩნევდნენ. რომის ეკლესიის მარნუხებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში სწრაფად გავრცელდა ახალი იდეოლოგია, რომელმაც უპირველეს მიზნად დაისახა განათლების სისტემის სრულყოფა.



„რეფორმაციის შუქურა“ (მე-16 საუკუნის ჰოლანდიური გრავიურა)

XVI-XVII საუკუნის პროტესტანტული რეფორმების ერთ-ერთ დამსახურებად ითვლება სა-ყოველთაო კომპლექსური განათლების შემოღება, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურის შემუშავება და სასწავლო პროგრამების განახლება. პედაგოგები ზრუნავდნენ არა მარტო მოსწავლეთა რელიგიურ და კლასიკურ განათლებაზე, არამედ მათი შემოქმედებითი პოტენციალის ზრდაზე; ქრისტიანული მორალი აქ ჰარმონიულად ერწყმოდა პიროვნების შინაგანი თავისუფლების, ურთიერთპატივისცემის, კანონმორჩილებისა და დამოუკიდებელი აზროვნების პრინციპებს. აღნიშნული რეფორმების შედეგი იყო ის, რომ სწრაფვა განათლებისკენ საშუალო და შეძლებული ოჯახებისთვის აუცილებელ მოთხოვნად იქცა. არსებობდა პროტესტანტი პოეტ-სტუდენტების კატეგორია ე. წ. „ვაგანტები“. ისინი ერთ სასწავლებელში პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლას განაგრძობდნენ ევროპის სხვა უნივერსიტეტებში, რათა მიეღოთ ცოდნა მეცნიერების განსხვავებულ დარგებში. სწავლების ასეთი პრინციპის გამო, გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები. საფრანგეთის უნივერსიტეტების ადმინისტრაცია, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით სარგებლობდა, იძულებული იყო პოლიტიკური მოტივით არ შეეზღუდა სხვა ეროვნების პროტესტანტი სტუდენტების მრწამსი და წესები. ეს უკანასკნელნი კი თავს ვალდებულად თვლიდნენ პატივი ეცათ მასპინძელი ქვეყნის კულტურისა და სასწავლებლის შინაგანანაწესისთვის.

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ამ პერიოდის ახალგაზრდებს ახასიათებდათ მადიებული რომანტიკული სულისკვეთება, რომელიც რაინდული ღირსების დაცვაში, ჭეშმარიტების შეცნობის სურვილსა და თავგადასავლების დაუსრულებელ ძიებაში გამოიხატებოდა. სწორედ იმ დროს, XVI საუკუნის 40-იან წლებში, გერმანიის ქალაქ ვიტენბერგში, შეძლებული პროტესტანტი სტუდენტებისა და სწავლულების წრეში დამკვიდრდა თანსატარებელი „სამეგობრო ალბომები“ ტრადიცია, რომლის „მოდაც“ გერმანიიდან საფრანგეთში, ინგლისსა და ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელდა. საფრანგეთში მას უწოდეს „Album d'amitié“, ინგლისში – „Book of friends“, გერმანიაში – „Stammbuch“ და „Album Amicorum“ (ლათ.). საბოლოოდ სწორედ ლათინური სახელი გახდა მისაღები ყველა ეროვნების მკვლევართათვის. ალბომების მფლობელები ადრეულ ეტაპზე მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. გერმანულ პროტესტანტ სტუდენტებს, რომლებიც უმეტესად შეძლებული მემამულეებისა და ბურჟუების წრეს მიეკუთვნებოდნენ, მოგზაურობისას თან დაჰქონდათ ძვირფასი ნივთი. ისინი ალბომის ფურცლებზე სამახსოვრო ჩანაწერებს და ჩანახატებს აკეთებინებდნენ მათთვის ავტორიტეტულ ადამიანებს: სხვადასხვა ეროვნების ლექტორებს, ცნობილ მოღვაწეებს, ჩინოვნიკებს, არისტოკრატებს, თანამოაზრეებსა და ახლად შეძენილ მეგობრებს. „სამეგობრო ალბომები“ ურთესად მსგავსი ინტერესების, რელიგიური მრწამსისა და მისწრაფებებისა ადამიანთა გარკვეულ სოციალურ წრეს აერთიანებდა. ამ ტიპის წიგნების უნიკალური მისია გახლდათ სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალთა შორის აზრთა გაზიარება, მულტიევროპული კულტურული კავშირების გაფართოება და გამყარება. ალბომის ჩანაწერები მოიცავდა გარკვეულ პერიოდს, ძირითადად 15–30 წელიწადს. ამ ხნის მანძილზე ეს ნივთი ცალკეული პიროვნებებისა და ოჯახების ძვირფას რელიკვიად იქცეოდა ხოლმე. „სამეგობრო ალბომი“ სარეკომენდაციო ფუნქციასაც ასრულებდა და მფლობელში სიამაყის გრძნობას იწვევდა. ალბომს ჰქონდა ასევე ზნეობრივი დატვირთვა: უფროსი მეგობრებისა და პედაგოგების მიერ მასში ჩანერილი რჩევა-დარიგება სტიმული იყო ახალგაზრდებისთვის. დღესდღეობით ევროპის ბიბლიოთეკებსა და კერძო კოლექციებში თავმოყრილია ოცდაათი ათასამდე „სამეგობრო ალბომი“. ამ ტიპის ხელნაწერიანი წიგნების ყველაზე დიდი კოლექციები დაცულია ნიურნბერგში, ფრანკფურტში, ვაიმარსა და ლონდონში. წიგნის ისტორიის მკვლევართა აზრით, შუა საუკუნეების ამ განსხვავებული ჟანრის შესწავლა მომავლის საქმეა, რადგან ის კვალიფიციური სპეციალისტებისაგან მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში: პალეოგრაფიაში, ჰერალდიკაში, წიგნის ისტორიასა თუ ხელოვნებაში. კვლევას ართულებს მატერიალური კულტურის ამ მნიშვნელოვანი ობიექტების განუმოწმებლობა, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათი კლასიფიკაცია. ავტოგრაფების, აკვარელთა შესრულებული გერბებისა და ბრწყინვალე სიუჟეტური ჩანახატების გამო, „სამეგობრო ალბომები“ მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის ფრანგი მკვლევარის, სტრასბურგის უნივერსიტეტის დოქტორის, მარი ნოელ დრიონის თქმით, ავტოგრაფების ეს ორიგინალური კრებულები „ჰუმანიზმის სარკვა“, ისინი შესანიშნავი წყაროა ევროპის კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, ცნობილი მოღვაწეების მისწრაფებებისა და ბიოგრაფიის

შესასწავლად.⁴⁴

თავდაპირველად, ალბომებისთვის გამოიყენებოდა გრავიურებით ილუსტრირებული საშუალო ზომის ნაბეჭდი წიგნები, რომელთა სუფთა გვერდები სამახსოვრო მინაწერებისა და ჩანახატების გაკეთების საშუალებას იძლეოდა. მოგვიანებით, საგანგებოდ ამ მიზნისთვის დაიწყო სუფთა ფურცლების აკინძვა. მფლობელები ალბომებს ძვირფას ტყავის ყდებში სვამდნენ. მათი უმრავლესობა გაფორმებული იყო ლამაზი ტვიფრული ორნამენტებითა და ფურცელთა ოქროსფერი შექონაჭერით.

საალბომო წიგნებს შორის ყველაზე დიდი აღიარება მოიპოვა 1531 წელს აუგსბურგში დაბეჭდილმა იტალიელი ჰუმანისტის, ანდრეა ალჩატოს ილუსტრირებულმა გამოცემამ – „Emblemata“ („ემბლემების წიგნი“), სადაც თხზულების შინაარსი ალეგორიული ჩანახატების, „ემბლემების“ ენაზე იყო გადმოცემული. მსგავს გამოცემებში ტექსტს მხოლოდ ილუსტრაციების განმარტების ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და ის ლათინურენოვანი გამონათქვამებით, მოკლე ლექსებითა და სენტენციებით შემოიფარგლებოდა. ბაროკოს ეპოქისეული ორნამენტებითა და გრავიურებით გაფორმებულმა „ემბლემატამ“ არნახული მოწონება დაიმსახურა სიახლის მაძიებელ მკითხველებს შორის და მალე ახალ ჟანრად დამკვიდრდა.

მრავალრიცხოვანი ტირაჟით დაბეჭდილი „ემბლემების წიგნები“ ძვირი არ ღირდა და მათი ალბომებად გამოყენება ხელსაყრელი იყო სტუდენტებისთვის, წიგნის მოცულობის გაზრდის მიზნით კი ილუსტრაციებს შორის შეიძლებოდა ახალი ფურცლების ჩამატებაც.

„სამეგობრო ალბომებში“ ჩანს სამახსოვრო მინაწერების გაკეთების გარკვეული ტრადიცია: გვერდის ზედა მხარეს, ცენტრში უნდა განთავსებულიყო ამა თუ იმ პირის საიდენტიფიკაციო კოდირებული აბრევიატურა (მაგ.: „A. N. G. W.“). მის ქვემოთ იწერებოდა დევიზი – ციტატა ბერძენი ან იტალიელი კლასიკოსი პოეტების, ფილოსოფოსებისა და წმინდა წერილის ტექსტიდან. გვერდის შუა ნაწილი გათვალისწინებული იყო ალბომის „სტუმრის“ სამახსოვრო მინაწერისთვის, რომელიც გამოხავდა პატივისცემას და საუკეთესო სურვილებს მეგობრისადმი. მიძღვნის ტექსტშივე იწერებოდა მინაწერის ავტორის სახელი, გვარი და წარმომავლობა; ბოლოს აღნიშნავდნენ მინაწერის გაკეთების თარიღს გეოგრაფიულ ადგილზე მითითებით. ჩანახატებთან ზოგჯერ არ იყო აღნიშნული თარიღი და გეოგრაფიული ადგილი. ტექსტი იწერებოდა აკადემიურ ლათინურ ენაზე, თუმცა გვხვდება ხელნაწერები გერმანულ, ფრანგულ, ბერძნულ და ებრაულ ენებზეც. „სამეგობრო ალბომების“ სტრუქტურასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი თავისებურება: ალბომის პირველი გვერდები განკუთვნილი იყო სამეფო საგვარეულოსა და სათავადო სახლის ყველაზე პატივსაცემი წარმომადგენლებისთვის, შემდეგ გვერდებზე კი ხელს აწერდნენ წარჩინებული თავადები, ბურჟუები და სწავლულები.

„სამეგობრო ალბომების“ ერთ-ერთი უძველესი ეგზემპლარი, რომლის ისტორიასაც ქვემოთ შევხებით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმის ფონდშია დაცული. მისი ბიბლიოთეკაში შემოსვლის თარიღად 1934 წელია დაფიქსირებული.

სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ იმ პიროვნების ვინაობა, რომელმაც ზემოთ აღნიშნული ალბომი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა. ვფიქრობთ, რომ მისი ბოლო მფლობელი ვინმე მ. ლობჯანიძე იყო. ნითელი მეღნით შესრულებული ლობჯანიძის ავტოგრაფი წიგნის თავფურცელზე იკითხება.


ალბომის კვლევის პროცესში წავაწყდით საგულისხმო ინფორმაციას: XIX საუკუნის 60-იან წლებში პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, ფილოლოგმა კ. ა. აღნედორფმა (1837 – 1872) ამავე ბიბლიოთეკის ფონდში ნახა XVI საუკუნის ლათინურენოვანი წიგნი, რომელიც მის პირველ მფლობელს, იოჰან სალაგასატს სამახსოვრო მინაწერებისთვის გამოუყენებია. ბიბლიოთეკარმა შეისწავლა ეს ეგზემპლარი და 1866 წლის პერიოდულ გამოცემაში გამოაქვეყნა სტატია: „აღწერა სალაგასატის ალბომისა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“.⁴⁵ აღმოჩნდა, რომ აღნედორფის მიერ აღწერილი

44 Drion, Marie Noele. Les livres d'amitié ou alba amicorum (16e-20e siècles): miroirs de la culture savante européenne » in, Trésor du mois de janvier 2014 de la BNU, bnu.fr, janvier, 2014. (<http://www.bnu.fr/collections/le-tresor-du-mois/les-tresors-de-mois-2014/janvier-2014%2%A0-les-livres-amitie-ou-alba-amicorum-16e-20e-siecles%2%A0-miroir>)

45 Allendorf, K Beschreibung des v. Salagast'schen der K. Universitätsbibliothek zu St Petersburg. Albums in. Neuer Anzeiger für Bibliographie und Bibliothekswissenschaft. Dresden, 1866, p. 13-17.

ალბომის თხუთმეტიოდე გვერდის მინანურები ზუსტად ემთხვევა ჩვენი ეგზემპლარის ამავე გვერდების მონაცემებს. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ილუსტრაციების შაბლონური სტილისა, წიგნის მნიშვნელობა განუზომლად დიდია მასში დაფიქსირებული ავტოგრაფებისა და ხელით ნახატი ფერადი გერბების გამო. დღეს უკვე შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ როგორ მოხვდა ევროპული კულტურის ეს ძეგლი რუსეთიდან საქართველოში, ან თუ ალენდორფის ინფორმაცია ალბომის მდებარეობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება, რატომ არ არის მის რომელიმე გვერდზე შემორჩენილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ბეჭედი. წიგნის თავფურცელზე ერთადერთი ოვალური ბეჭედი ლათინური აბრევიატურით: „Coll.Pol.S.J“, რაც მიგვანიშნებს, რომ გერმანიაში შედგენილი ავტოგრაფების კრებული ბელორუსიის უძველესი ქრისტიანული ქალაქის – პოლოცკის იეზუიტური კოლეგიისა და აკადემიის ბიბლიოთეკის საკუთრებად ყოფილა. ეს ბიბლიოთეკა ითვლიდა 50000 ბეჭდურ ერთეულს, რომელთა შორის დიდი რაოდენობით იყო XVI-XVII საუკუნის იშვიათი წიგნები სხვადასხვა ენაზე. რუსეთის იმპერიის მიერ იეზუისტთა დევნის პერიოდში გაუქმდა პოლოცკის იეზუიტური კოლეგია, ხოლო მისი ბიბლიოთეკის ფონდი გადანაწილდა ბელორუსიისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. 1830 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა პოლოცკის იეზუიტური აკადემიის ბიბლიოთეკის 3878 წიგნი, რომელთა შორის, სავარაუდოდ, იყო სალაგასტის „სამეგობრო ალბომიც“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოჰან სალაგასტმა „სამეგობრო ალბომის“ შესაქმნელად გამოიყენა ფილიპ ლონისერისა და იოსტ ამანის ავტორობით 1572 წელს ფრანკფურტში დაბეჭდილი ლათინურენოვანი გამოცემა: „Icones Livianae: Praecipuas Romanorum Historias Magno Artificio Ad Vivum Expressas oculis repraesentantes. Francofurti Ad Moenum, 1572“. წიგნი გაფორმებულია ფრანკფურტში მოღვაწე ცნობილი შვეიცარიელი მხატვრის იოსტ ამანის 103 შავ-თეთრი ქსილოგრაფიურით. „ემბლემათა წიგნის“ ამ მომხიბლავ გამოცემაში ტიტუს ლივიუსის „რომის ისტორიის“ მიხედვით შექმნილ კომპოზიციებს მთელი გვერდი უჭირავს, გრაფიურების შინაარსი კი ფილიპ ლონისერის ლექსების ტაეპებითაა განმარტებული.




საქ. ეროვნული ბიბლიოთეკის 1572 წლის გერმანული გამოცემის თავფურცელი

მეთვრამეტე საუკუნეში ალბომში ჩანანერები გაუკეთებია ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს, ლუთერან თეოლოგს, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორსა და შვიდგზის რექტორს – იოჰან ფრიდრიხ ბურშერს,⁴⁶ რომელმაც ნაწილობრივ შეისწავლა აღნიშნული მიწანანერები და საჭიროდ ჩათვალა მათი განმარტება. ბურშერის ხელით, შავი მელნით, შენიშვნები გაკეთებულია როგორ ავტოგრაფებიან, ისე ილუსტრირებულ გვერდებზე. მათში მითითებულია ჩანანერების ავტორთა ტიტულები და ბიოგრაფიული მონაცემები. თავფურცლის წინ ჩართულ ორ სუფთა ფურცელზე შედგენილი სარჩევი წარმოაჩენს 5, 8, 12, 15, 28, 31, 39, 40, 56, 74, 320, 324, 327, 359, 392 და 395 გვერდებზე მოხსენებულ პიროვნებებს ბურშერისეული კომენტარებით. ბოლოს შემდგენელის ავტოგრაფიცაა: „Burscher“.



იოჰან ფრიდრიხ ბურშერი. 1780 წ. ლითოგრაფია (მხატვარი: Johann Gottfried Schmidt)



იოჰან ბურშერის ავტოგრაფი

იოჰან ბურშერი 1762 წლიდან მუშაობდა დრეზდენში მსოფლიოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნის, ეგზეგეტიკასა და სიმბოლიზმში განსწავლული ჰერცოგის, დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის – ჰენრიხ ფონ ბუნაუს⁴⁷ მდივნად და მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკის (42 000 ეგზ.) ხელმძღვანელად. თუ ჩვენთვის საინტერესო ალბომი დაცული იყო ლუთერანი ერუდიტის ბიბლიოთეკაში, ბურშერის შენიშვნებიც ამ პერიოდში უნდა იყოს გაკეთებული.

იოჰან სალაგასტის მიერ შედგენილ ალბომში ბურშერის ხელით დანომრილი 426 გვერდია. სარჩევის მომდევნო ფურცელზე დაკრულია ქალაქი XVII საუკუნის ანონიმური ხელნაწერით. აქ საუბარია ალბომის მფლობელის სახელოვანი წინაპრის, პირველი ფრანკი კანონმდებლის (V ს.) – სალაგასტის დამსახურებაზე. ტექსტის ფრაგმენტი გადმოწერილია გერმანელი აბატის, მისტეკოსი თეოლოგისა და კრიპტოლოგის, იოჰანეს ტრიტემიუსის ნაშრომიდან,⁴⁸ რომელიც დაბეჭდილია მე-16 საუკუნის საისტორიო წიგნში.⁴⁹ შემდგომ მოდის: თავფურცელი, გამომცემლის მიერ დანომრილი 103 ილუსტრაცია შუაღედებში ჩამატებულ ფურცლებთან ერთად, ერთი ფურცელი საგამომცემლო წიშნით და დასასრულს – ალბომის მფლობელის მიერ დართული ოთხი სუფთა ფურცელი (8 გვ.).

46 Burscher, Johann Friedrich (1732–1805).

47 Heinrich von Bunau (1697–1762).

48 ნაშრომის სახელწოდებაა: „De origine gentis Francorum compendium Ioannis Tritenheimi i abbatis“.

49 Schardius, Simon. *Historicum opus, in quator tomos divisum*, Vol. 1, Basileae: ex officina Henricpetrina, 1574, p. 328.

წიგნის ბოლოს, საგამომცემლო გვერდზე აღნიშნულია, რომ ის დაბეჭდილია მაინის ფრანკფურტში, გეორგ კორვინისა (Georgium Corvinum) და ვეიგანდი გალის (Viugandi Galli) მემკვიდრეთა დახმარებით. იქვე, სტამბის ოვალური ფორმის მარჯვნივ გარშემოწერილობაში იკითხება ამ წიგნის მბეჭდავისა და გამომცემლის, ფრანკფურტში ყველაზე დიდი ტიპოგრაფიული კომპანიის მფლობელის, ფრანკფურტისა და ლაიფციგის წიგნების ბაზრობის დამაარსებლის, ზიგმუნდ ფაიერაბენდის (Sigmund Feierabend) სახელი და გვარი. აქვეა დაბეჭდილი მისი კომპანიონების – გეორგ რაბისა (Georg Rab) და ვეიგანდ ჰანერბის (Weigand Hanerb) გვარები. ფაიერაბენდის სტამბის პროდუქციაში ვხვდებით საგამომცემლი ნიშანთა კომპოზიციურ ვარიანტებს. ეროვნული ბიბლიოთეკის ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში მისი ერთ-ერთი სახეობაა გამოყენებული. საგამომცემლო ნიშნის ქვემოთ მითითებულია თავფურცლისაგან განსხვავებული გამოცემის წელი – 1573 (ნაცვლად 1572-ისა). ამ იშვიათ ეგზემპლარს ილუსტრაციების წინ აკლია სამი გვერდი ზიგმუნდ ფაიერაბენდის პორტრეტითა და ფილიპ ლონისერის წინასიტყვაობით.

EPISTOLA

autiores, ut non vulgares, sed in omni genere disciplinarum praestantissimi, summiq; tuis magno cum iure et produntate testantur: ne pulcherrimam consequenda gloria vnam negligas. Nam si non pauci apud veteres ex Labyrinthorum, arcium, pyramidum, portuum, templorum, vel amphitheatrorum destructione immortalem nominis sui famam consecuti sunt. Quanto maior eos nominis manet gloria, qui clarissimi auctoribus, cum maximo omnino, qui putatis & literarij sunt Studiosi, fructu, puri & emendate in lucem emittendis intenti sunt? Immensae illae vel Labyrinthorum, vel Manuleorum structurae in vno loco stantissimo ibi, & temporis longinquitate facile corrumpunt. Sed illa doctissimum virorum summorumque auctorum orbem terrarum perambulans, et apud viros vere sapientes & doctos in summo habentur pretio, & quacunq; destruantur, eadem secum illorum & nomina & gloriam perferunt, qui in illis arandis incumbunt. Nec verò hic tui laboris est terminus, quod pulcherrimo characterebus puris, ceteri & emendate omnia esse curas: verum ubi Auctoria ratio, & res ipsa quae tractatur non reprobant, pulcherrimo & admirando profus expressis artificij Iconibus historiarum vel Poetarum fabularum illustras, quibus quantum vigor clarissimorum auctorum monumentis additur, lector sinceren afferens secum iudicium facile agnoscat. Et vel solus Livius testimonio huius rei est evidentiissimo, quem Germaniam nitidorem & venustorem, quam ex laudatissimi nostrae Reipub. Typographi D. GEORGI CORVINI Officina prodierit, antehac non vidit. In quo praecipue historij pulcherrime effigies ex tua industria addita sunt, quae res ipsas ad vniuersi expressis ita oculis representat, ut lector in eas incidens vere ob mirandum artificium obstupescat, atq; obtutus defixus in vno habeat, ut Poetae verbum recat. Cum autem Icones illas scilicet praelo submittere constituisset, inlustris apud me, ut historiarum, quae Iconibus istis expressae sunt, argumenta breuibus versibus comprehendere, ut ipsi additis ipse effigies lectori & gratiores & plantiores essent. Quod oneri eo promptius humeris meis imponi passus sum, quod videret mihi exercitum ob miram historiarum venustatem natus quem inuicendum, Floris itaq; succisus inter labores mihi incumbentes Opusculum huius per aliquos dies inuenit. Iam, moxq; ipsum, non raro in pulcherrimo historiarum campo inter scholasticas molestias recreauit. Spero autem omnes bonos viros (nam Celestias, qui usum habent Rhinocerotis, nihil moror) sequos fore se tui meo labori iudicet, Non enim nostra haec Carmina tuas amores, nec insana conuicia, aut

DEDICATORIA.

indigna bonis viris scommata describam, sed pulcherrimas historias pro modulo nostra Musa decantant. Nec dubito fore, ut multis ex studio adulescentibus, qui in hunc libellum incidunt at Livius, nam lectorem longe vtilissimum summo cum ingenij fructu acceleraturus sint, ut integre eas historias quas hic delineari animaduertenti possint agnoscere ad quam forte tardius ab his incrementis non sine studio & ingenij detrimento accessuri erant. Cum autem ipse Icones ex tua Mineruae promptuario humanissime SIGISMUNDE prodierint, eosdem nouo habitu ornatas, volui ad alium quam ad te reuocare. Quas si huiusmodi, uti decet, dignatus fueris, ipse tibi Musa hanc tuam humanitatem digni officij recompenfabunt. Vale. Datum Francofurti, Anno 1572. Calendis Iulij.

Philippus Lonicerus,

✻

C 3 I. B.

ფილიპ ლონისერის გამოცემის წინასიტყვაობის გვერდები, რომლებიც აკლია საქ. ეროვნული ბიბლიოთეკის ეგზემპლარს



ფ. ლონისერის წიგნის ბოლო საგამომცემლო გვერდი ზიგმუნდ ფაიერაბენდის პორტრეტით

ფაიერაბენდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „სამეგობრო ალბომებს“ ახალგაზრდობის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ცნობიერების ფორმირებაში: „ალბომის მფლობელი დაინახავს თავის თავს სოკრატეს სარკეში და გაიგებს, თუ რა ნაკლი აქვს მას და რა უნდა გამოასწოროსო“ – მიუწერია მას ერთი ასეთი ეგზემპლარის ფურცელზე. ზემოთ აღნიშნულ კორპორაციაში მოღვაწეობდნენ ნიჭიერი მხატვრები: ვირჯილ სოლისი, იოსტ ამანი და ტობიას შტიმერი. ამ მხატვრების მიერ გაფორმებულმა მაღალხარისხოვანმა გამოცემებმა, მათ შორის ფილიპ ლონისერის ნიგნმა, დიდი მოგება მოუტანა გამომცემლობის პატრონს.

სალაგასტის ავტოგრაფებიანი ალბომი ჩასმულია XVII-XVIII საუკუნეების გერმანული ნიგნებისთვის ტიპიურ ყდაში. ყდის ლურჯი ქალაქი (პერგამენტი) მოვარაყებულია ოქროსფერი მცენარეული ტვიფრით. წინა ფრთაზე სავარაუდოდ ალბომის მომდევნო მფლობელის ინიციალებია: „M. E. W. F.“, რომლის გაშიფვრაც ჯერ ვერ მოხერხდა. ფურცელთა შემონაჭერი დაფერილია ნამდვილი ოქროს შემცველი საღებავით და მასზე ნაზი ორნამენტებია ამოკვეთილი.



იოჰან სალაგასტის „სამეგობრო ალბომის“ ყდა

ჯერ მოხერხდა ალბომის ყველა ჩანაწერის ამოკითხვაც, თუმცა, შეგვიძლია მაგალითისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი: მე-40 გვერდზე ლამაზი ხელწერით, ლათინურ ენაზე დაუწერიათ ფლანდრიელი პოლიტიკოსის, მემატიანისა და მემუარისტის, ფილიპ კომინესის გამონათქვამი, 72-ე გვერდზე ერთ გერმანელ გრაფს მიუწერია რომაელი პოეტის, იუვენალის სენტენცია: „Probitas laudatur et alget“ („პატიოსნებას ხობტას ასხამენ, მაგრამ ის გულგრილია“), 184-ე გვერდზე იკითხება სენეკას ცნობილი ფრაზა: „Fortuna fortes metuit, ignavos premit“ („ბედი მამაცებს სწყალობს“), 347-ე გვერდზე მეტად საინტერესო რაინდული გერბის თავზე რომაელი პოეტის მოსწრებული გამონათქვამია „Virtute decet, non sanguine niti“ („სისხლით კი არა, ღირსებებით უნდა გამოირჩეოდე“).

ნიგნის ჩართულ ფურცლებზე, ავტოგრაფების გარდა გვხვდება სხვადასხვა ფერის აკვარელის საღებავებით, არაჩვეულებრივი სიზუსტით დახატული გერმანელ, ავსტრიელ, ფლანდრიელ და პოლონელ დიდგვაროვანთა 34 იშვიათი საგვარეულო გერბი. ამ უძველესი ნიმუშების ამოცნობა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების ჰერალდიკისადმი მიძღვნილი, უკვე იშვიათობად მიჩნეული გაციფრული ნიგნების მოშველიებით შევეცადეთ დაგვედგინა მათი კუთვნილება. ერთ-ერთი სანდო წყარო, რომლის საშუალებითაც მოხდა ალბომში ჩახატული გერბების მფლობელთა დადგენა, გახლავთ იოჰან ზიბმახერის მიერ შედგენილი გერმანელ დიდგვაროვანთა გერბების კატალოგი.

სალაგასტის ალბომის ჰერალდიკის ნიმუშებიდან ზოგიერთი არ არის დათარიღებული. 151-ე გვერდზე დაკრულია ქალაღი ხელით ნახატი ფერადი გერბით, 320-ე გვერდზე კი დაწებებულია პატარა ფურცელი პელჰამის საგვარეულო გერბის შავ-თეთრი ბეჭდური ტრაფარეტით. ნიგნში ხელითაა გაფერადებული გამოცემის ექვსი შავ-თეთრი გრავიურა.

ავტოგრაფების ამ კრებულში სამახსოვრო ჩანაწერები და საგვარეულო გერბების ჩანახატები კეთდებოდა ოცდაექვსი წლის განმავლობაში. პირველი ავტოგრაფი დათარიღებულია 1577 წლით, ბოლო მინაწერი კი 1603 წელსაა შესრულებული.

„სამეგობრო ალბომის“ ქვემოთ მოყვანილ აღწერილობაში ვეცადეთ გვერდების თანმიმდევრობის მიხედვით, მაქსიმალური სიზუსტით გადმოგვეცა ლათინურენოვან ხელნაწერებში დაცული ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია: პიროვნების სახელი, გვარი, წარმომავლობა, მინაწერის გაკეთების ადგილი და თარიღი. ვერ მოხერხდა მხოლოდ ორიოდე ავტოგრაფის ამოკითხვა. აღწერილობას დავურთეთ ალბომში აღნიშნულ პიროვნებათა ბიოგრაფიული მონაცემები, სქოლიოებში კი განვმარტეთ გეოგრაფიული სახელები და ტერმინოლოგია. აქვეა მითითებული საგულისხმო ელექტრონულ წყაროთა მისამართებიც.



იოჰან სალაგასტი „სამეგობრო ალბომის“ მფლობელი

იოჰან (ჰანს) ფონ სალაგასტი, წარმოშობით კეთილშობილი სილეზიელი დიდებული, მოხსენიებულია 1596 წელს დაბეჭდილ წიგნში: „ქრისტიანობის საგანძური“,⁵⁰ რომლის მიხედვითაც იგი გახლდათ გერმანიის ქალაქების: მაგდებურგისა და ბრანდენბურგის საქალაქო საბჭოს მრჩეველი, ჰოფმაისტერი,⁵¹ 1605 წლიდან კი ბრანდენბურგის ოლქის ქალაქ იუტებორგის ამტშუპტმანი.⁵² 1605 წელს იოჰან სალაგასტის ამ თანამდებობაზე დანიშვნის ფაქტი აღნიშნულია სხვა გამოცემაშიც.⁵³

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის მუზეუმში დაცული „სამეგობრო ალბომი“ რომ სალაგასტის კუთვნილება ყოფილა, ჩანს იოჰან ბურშერის მიერ წიგნის თავფურცლის მეორე გვერდზე გაკეთებული კომენტარიდან. ბურშერი აღნიშნავს: „ეს სამახსოვრო წიგნი ეკუთვნოდა ჰანს ფონ სალაგასტს, რომელმაც ბევრი ქვეყანა, სასახლე და უნივერსიტეტი მოიარა ახალგაზრდა ბატონებთან ერთად და დიდი ხნის განმავლობაში იყო ყველაზე ცნობილი ბრანდენბურგელი თავადი“. ალბომის პატრონს ავსტრიულ ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენლებთან და ჰოჰენცოლერთა სამეფო ოჯახის წევრებთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. ეს ინფორმაცია დასტურდება ალბომის გვერდებზე ავსტრიის მეფის ვაჟების და იოაჰიმ ფრიდრიჰ ჰოჰენცოლერ-ბრანდენბურგელის (1546–1608 წწ.) შვილების ავტოგრაფებით. ერთდროით გამოჩნულ ახალგაზრდა სილეზიელ რაინდს ბრანდენბურგის მმართველ ჰოჰენცოლერთა ნდობა და პატივისცემა მოუპოვებია და ზემოთ აღნიშნული მაღალი ჩინები დაუმსახურებია. ჰოფმაისტერის მოვალეობაში შედიოდა ბატონიშვილებზე მზრუნველობაც. ჰოჰენცოლერნთა ჩანაწერების შინაარსიდან გამომდინარე, სალაგასტს ეს საპასუხისმგებლო მისიაც ეკისრებოდა.

იოჰან სალაგასტის სახელი (Johann Salagast) გვხვდება გერმანიის ქალაქ ნიურნბერგის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში (1596 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ხელნაწერში).⁵⁴

სალაგასტის შესახებ მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული წყაროა 1567–1587 წლებში ორლენანის უნივერსიტეტის პროკურატორთა⁵⁵ მიერ შედგენილი გერმანული გილდიის⁵⁶ სტუდენტთა სია, სადაც, 1587 წლის ჩანაწერებში მოხსენიებულია წარმოშობით სილეზიელი⁵⁷ იოჰან სალა-

50 Hahn, Hieronymus. Christlich Kleinod. Magdeburg, 1596, p. [2].

51 ჰოფმაისტერი – სასამართლოს მოხელე, რომელსაც ასევე ევალებოდა სათავადო მურნეობის გაძღოლა. მე-15 საუკუნიდან საღვთო რომის იმპერიაში ჰოფმაისტერთა მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ ისინი ითვლებოდნენ სახელმწიფო მოხელეებად. მათი სტატუსი უტოლდებოდა მინისტრის თანამდებობას.

52 ამტშუპტმანი (გერმ. Amtshauptmann) – გვიანი შუა საუკუნეების ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სათავადო ადმინისტრაციული ოლქის მმართველი.

53 Reilhold, Werner. Chronik der Stadt Dahme und der Umgegend. Bd. 1, Hilscher, 1845. p. 38.

54 Kurras, Lotte. Die Handschriften des Germanischen Nationalmuseums Nürnberg. Bd. 5, Wiesbaden: Harrassowitz, 1988, p.: 34, 225.

55 Procurator (ლათ.) – მმართველი (ზედამხედველი) ძველი რომის იმპერიაში. რეფორმაციის ეპოქაში პროკურატორებს უწოდებდნენ ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტების სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა ჯგუფების თავკაცებს. პროკურატორებს ირჩევდნენ სტუდენტები თავისი წრიდან.

56 გილდია – შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერქვა ადამიანთა პოლიტიკურ ან რელიგიურ გაერთიანებას.

57 სილეზია – ისტორიული ადგილი ცენტრალურ ევროპაში, რომლის ტერიტორია დღეს შედის პოლონეთის, გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში. 1626 წლიდან 30 წლიანი ომის დასასრულამდე სილეზიას მართავდნენ ავსტრიის ჰაბსბურგთა დინასტიის პროტესტანტი ჰერცოგები.

გასტი – „Salagast, Joannes Silesius“⁵⁸.

იოჰან სალაგასტის, როგორც გამოცემების ერთ-ერთი ავტორის შესახებ, ინფორმაცია შეიძლება ვიხილოთ გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგშიც. ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია მისი თანაავტორობით გამოცემული ლექსების კრებული და ნაშრომები:

1. Christoph Caesar, Johannes von Salagast. Salagastiana: poemata quaedam, diversis temporum occasionibus scripta Ad Magnificum, & gentilicia pariter literaria nobilitate praestantissimum Dn. Johannem a Salagast, Halae Saxonum: Greberus, 1598.
2. Gregorius Dieter; Hans von Salagast. Bethesda, Der WunderTeich bey dem Schaf-Hause zu Jerusalem Bey ... LeichBestattung/ des ... Wittenberg Ball Wittenberg 1619.
3. Johann Sturm; Nicolas Wyrriot; Johann Lobart; Antonius Spollardus; Hans von Salagast. Ioannis Sturmij. Lingvae Latinae resoluendae ratio: tradita in celebri Reipublicae Argentoratensis Academia: anno septuagesimo tertio. Argentorati: excudebat Nicolaus Wyrriot, 1581.

ბოლო მნიშვნელოვანი წყარო გახლავთ „ევროპის კვლევითი ბიბლიოთეკების კონსორციუმის“ ელ. კატალოგი: „Cerl Thesaurus accessing the record of Europe’s printed heritage“. ცნობარის მონაცემებით გაირკვა წიგნების ავტორის, იოჰან სალაგასტის დაბადებისა და გარდაცვალების წლები – 1555–1618, მისი სახელის წაკითხვის სხვა ვარიანტი – „Salagast Hans von“ და მოღვაწეობის სფერო – სილეზიელი რაინდი, ბრანდენბურგის საბჭოს მრჩეველი („Schles. Ritter; Brandenburgischer Rat“).⁵⁹ საიმპერატორო რაინდების საპატიო წოდება საღვთო რომის იმპერიაში თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა. მათ განსაზღვრული სოციალური სტატუსი ჰქონდათ: რაინდები შედარებით დაბალი კატეგორიის მემამულეები იყვნენ, რომელთა მთავარი ფუნქცია იმპერატორის მოწოდებაზე საბრძოლო მოქმედება გახლდათ. რაინდებს მსხვილი მიწათმფლობელების – გრაფებისა და ლორდებისაგან განსხვავებით, ეკრძალებოდათ იმპერატორის არჩევნებში ხმის მიცემა, თუმცა სამართლის დარგში საფუძვლიანი განათლების მქონე პირები გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ და შეეძლოთ მრჩეველებად ემუშავათ საოლქო არჩევით საბჭოში. აქ ისინი კურფიურსტებთან თანამშრომლობდნენ და მათი იურიდიული კონსულტანტები იყვნენ. ვფიქრობთ, იოჰან სალაგასტი სწორედ ასეთ მოვალეობას ასრულებდა ბრანდენბურგის საკრებულოში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის „სამეგობრო ალბომის“ ფურცლებზე არ გვხვდება იოჰან სალაგასტის ხელნაწერი, მაგრამ ის შემონახულია ჰოლანდიელი ფილოსოფიისა და მედიცინის დოქტორის, ბერნარდ პალუდანუსის ალბომში. პალუდანუსი მოგზაურობდა ევროპისა და აზიის ქალაქებში. ალბომის ხანგრძლივი მოხმარების პერიოდში (55 წ.) მის გვერდებზე არა მარტო მინაწერები, არამედ 145 შესანიშნავი სიუჟეტური გრაფიკული ჩანახატიც გაუკეთებიათ. სალაგასტის ავტოგრაფთან მითითებულია ჩანაწერის გაკეთების ადგილი და თარიღი: „სტრასბურგი, 7 მაისი, 1581“.

იოჰან სალაგასტის 1582–1583 წლების ჩანაწერები აღმოჩენილია სხვა „სამეგობრო ალბომებშიც“, რომლის მფლობელნი იყვნენ: ორლეანის უნივერსიტეტის „გერმანული ნაციის“ სტუდენტთა ჯგუფის ბელგიელი პროკურატორი⁶⁰ იოჰან პერეზ დე მალვენდა (Malvenda, Johannes Perez de.), გეორგ ფონ ამანი (Amman, Georg von Ammanseck) და ჰფალც-ნოიბურგის საიდუმლო მრჩეველი და ჰოფმარშალი – იოჰან ლუდვიგ ფონ შპერბერზეკი (Johann Ludwig von Sperberseck. 1551-1613).

58 Troisième livre des procureurs de la nation germanique de l’ancienne Université d’Orléans 1567-1587: Texte Des Rapports des Procureurs. Leiden: Brill, 2013, p.: 794, 797.

59 <https://thesaurus.cerl.org/record/cnp01110927>

60 ამ პერიოდის საფრანგეთის უნივერსიტეტების გერმანული ეროვნების სტუდენტთა გილდიაში შედიოდნენ არა მარტო გერმანელი სტუდენტები, არამედ საღვთო რომის იმპერიის მემადგენლობაში მყოფი სხვა ქვეყნების ახალგაზრდები.

Summis medicinae Curiae,
Sponsus sponsae, Palutianis
Salagasti.

Genere, virtute ac
eruditione singulari, Viro
D Bernharde Palutiano,
Scribitur haec in perpetuum
suae memoriam, Joannes
a Salagast. Argentorae
7 May 1581

იოჰან სალაგასტის ავტოგრაფი ბერნარდ პალუდანუსის ალბომიდან

ისტორიულ პირთა ავტოგრაფები და გერბები

- გვ. 5

გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, მაქსიმილიან II ჰაბსბურგის (1527 – 1576) ვაჟების – მათიასისა და მაქსიმილიანეს ავტოგრაფები.⁶¹

Mattias

1577

Habsburg, Mattias (Mattias von Habsburg) (1557 – 1619) - ავსტრიის ერცჰერცოგი,⁶² 1612 წლიდან საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, გერმანიის, უნგრეთის, ხორვატიის და ბოჰემიის მეფე.



მატიას ფონ ჰაბსბურგი

61 ავტოგრაფებთან არ არის მითითებული სამახსოვრო ჩანაწერების გაკეთების ადგილი (გეოგრაფიული დასახელება).

62 ერცჰერცოგი (გერმ.: Erzherzog) – წოდება, რომელსაც იყენებდნენ მხოლოდ ავსტრიის ჰაბსბურგთა მონარქიული სახლის წარმომადგენლები. შუა საუკუნეებისა და ახალი ეპოქის გერმანულ სათავადო იერარქიაში ერცჰერცოგი იდგა ჰერცოგზე მაღლა, მაგრამ კურფიურსტსა და მეფეზე დაბლა.

Maximilianus

1577

Habsburg, Erzherzog Maximilian III (1558 – 1618) - პოლონეთის არჩევითი მეფე, ავსტრიის ერცჰერცოგი, პრუსიის მმართველი, ტევტონის ორდენის მაგისტრი; ჰუმანიზმის ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მდიდარი პირადი ბიბლიოთეკის მფლობელი.



მაქსიმილიან III ფონ ჰაბსბურგი

• გვ. 8

პრუსიელ ჰოჰენცოლერნთა (Hohenzollern)⁶³ ერთი ოჯახის ხუთი წევრის, – იოაჰიმ ფრიდრიჰ ჰოჰენცოლერნ-ბრანდენბურგელის (ბრანდენბურგის კურფიურსტის⁶⁴) შვილების ავტოგრაფები:

1595

Augustus

Hohenzollern, August von Brandenburg (1580 -1601) - გარდაიცვალა 21 წლის ასაკში, დაკრძალულია ბერლინში, ჰოჰენცოლერნთა საგვარეულო აკლდამაში.

1595

Albertus Fridericus

Hohenzollern, Albert (Albrecht) Friedrich von Brandenburg, markgraf (1582-1600) - ბრანდენბურგის⁶⁵ მარკგრაფი.⁶⁶

1595

Joahimus

Hohenzollern, Joahimus (1583-1600)

1595

Ernestus

Hohenzollern, Ernst von Brandenburg (1583-1613) - კალვინიზმის მიმდევარი პირველი ჰოჰენცოლერნი, იოჰანიტების ორდენის მაგისტრი.⁶⁷

1595

Christianus Wilhelmus

Hohenzollern, Christian Wilhelm von Brandenburg (1587-1665) – ბრანდენბურგის კურფიურსტის უმცროსი ვაჟი, მაგდებურგის მმართველი (მარკგრაფი). 11 წლის ასაკში, 1598 წელს ის აირჩიეს ამავე ქალაქის ლუთერან არქიეპისკოპოსად.

63 ჰოჰენცოლერნები – პრუსიის შვაბური სამეფო დინასტია.

64 კურფიურსტი – დიდგვაროვანი შუა საუკუნეების გერმანიაში, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა იმპერატორის არჩევის უფლება.

65 ბრანდენბურგი – გერმანიის ისტორიული რეგიონი პრუსიაში, საღვთო რომის იმპერიის სამეფო დინასტიის წარმომადგენლების – ჰოჰენცოლერნების სამშობლო.


66 მარკგრაფი (ფრანგ.: „მარკიზი“) – შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამეფო ან საიმპერატორო ჩინოვნიკი, რომელიც განაგებდა განსაზღვრულ ტერიტორიას, იცავდა მის საზღვრებს და თავის სამფლობელოში ახორციელებდა სრულ ადმინისტრაციულ, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლებას.

67 Allendorf, K. Beschreibung.... 1866, p. 15.

• გვ. 12
ავტოგრაფი:

Christianus Wilhelmus, Archiep. Magdeb.⁶⁸
1603

Hohenzolern, Christian Wilhelm - ეს ავტოგრაფი გაკეთებულია პირველი ჩანაწერიდან რვა წლის შემდეგ (იხ. წიგნის მე-8 გვ.), ხრისტიან ვილჰელმის ქალაქ მაგდებურგის არქიეპისკოპოსობის პერიოდში.



ხრისტიან ვილჰელმის ავტოგრაფი
ი. სალაგასტის ალბომში

68 Archiep. Magdeb. - მაგდებურგის არქიეპისკოპოსი.

- გვ. 15
ავტოგრაფი:

Theodorus Beza
Geneve. 1583

Beza, Theodore (1519-1605) – ცნობილი შვეიცარიელი ჰუმანისტი და პროტესტანტი თეოლოგი (ჟან კალვინის მიმდევარი), განათლებით იურისტი, პედაგოგი, პოეტი, მწერალი; ლოზანასა და ჟენევის აკადემიებში ასწავლიდა ბერძნულ ენასა და თეოლოგიას.



თეოდორ ბეზა

- გვ. 28
ოთხი პიროვნების ავტოგრაფი:

...⁶⁹ 1593
Johannes Sigismund Marchio Brandenburgensis

69 ჩანანერში არ არის აღნიშნული მისი შესრულების ადგილი.

Hohenzollern, Johann Sigismund von Brandenburg (1572–1619) – იოახიმ ფრიდრიხ ფონ ბრანდენბურგელის (1546–1608) უფროსი შვილი, პრუსიის ჰერცოგი; ბრანდენბურგის კურფიურსტი 1608–1619 წლებში.

1595

Johannes Georgius Postulatus Administrator for Argetinensis, Marchio⁷⁰ Brandenburgensis Halle Saxonum⁷¹

Hohenzollern, Johannes Georg von Brandenburg (1577–1624). იოახიმ ფრიდრიხ ფონ ბრანდენბურგელის მესამე შვილი, ქალაქ ბრანდენბურგის მარკგრაფი. სტრასბურგის საეკლესიო ეპარქიის ადმინისტრატორი (1592 წ. – 1604 წ.); უფროს ძმასთან, იოჰან სიგიზმუნდთან (იხ. წინა ავტორაფი) ერთად სწავლობდა სტრასბურგის პროტესტანტულ აკადემიაში. 1608 წლიდან იაგერნდორფის⁷² ჰერცოგი.

1596

Anna Geborne Marggreaus⁷³ zu Brandenburg

Hohenzollern, Anna von Preußen – „ანა პრუსიელი“ (1576–1625) – პრუსიის ჰერცოგის, ალბერტ ფრიდრიხ ჰოჰენცოლერნის (იხ. ალბომის გვ. 8) ქალიშვილი და ბრანდენბურგის კურფიურსტის – იოჰან სიგიზმუნდის მეუღლე.

1596

Maria geborne Marggraus

Hohenzollern, Anna-Maria Brandenburg – ანა-მარია ბრანდენბურგელი (1567–1618) – იოჰან-გეორგ ჰოჰენცოლერნისა (1525–1597) და საბინა ფონ ბრანდენბურგ-ანსბახის ქალიშვილი, პომერანიის ჰერცოგის მეუღლე.

• გვ. 31

ბრანდენბურგის კურფიურსტის, იოახიმ ფრიდრიხ ჰოჰენცოლერნის (1546–1608) შვილების: ანა-კატარინას და ბარბარა-სოფიას ავტორაფები, სავარაუდოდ, გერმანიის ქალაქ ვოლმირშტედტში⁷⁴ გაკეთებული, სადაც ცხოვრობდა მათი ოჯახი:

70 Marchio – იგივეა, რაც გერმანულად „Markgraf“ (მარკგრაფი).

71 Halle Saxonum - ჰალე (ქალაქი) საქსონიაში.

72 იაგერნდორფი (გერმ.: Jägerndorf), ამჟამად კრნოვი, ქალაქი ჩეხეთში.

73 Marggreaus, Marggraus (ლათ.); Markgraf (გერმ.); Margrave (ინგლ.); Marquis (ფრანგ.) - მარკგრაფი, მარკიზი.

74 ვოლმირშტედტი (გერმ.: Wolmirstedt) – პატარა ქალაქი საქსონია-ანჰალტის რეგიონში. (ქ. მაგდებურგიდან 14 კმ.-ში).

1595

Anna Katharina

Hohenzollern, Anna Katharina von Brandenburg (1575–1612) – ბრანდენბურგელი ჰერცოგინია, 1597 წლიდან დანიის დედოფალი.



ანა-კატარინა ფონ ბრანდენბურგი

1595

Barbara Sophia

Hohenzollern, Barbara Sophia von Brandenburg (1584-1636) – ბარბარა-სოფია ბრანდენბურგელი, იოახიმ III ფრიდრიხ ბრანდენბურგელის (1546-1608) ქალიშვილი, ვიურტემბერგის⁷⁵ ჰერცოგინია.

1595

Hedwig geborne Herzogin⁷⁶ zu Braunschweig Lüneburg⁷⁷

Braunschweig - Lüneburg (Harburg), Hedwig von (1569-1620) - ოტო II ბრაუნშვაიგ-ჰარბურგის ქალიშვილი.

• გვ. 39

გერბი ავტოგრაფით:

**Georgius Duc Brunsvicensis Lüneburgensis
Wolmerstadij. 1597**

Braunschweig-Lüneburg, Georg (1582-1641) - ჰერცოგ ვილჰელმ ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის (1535-1592) მეექვსე შვილი; ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ჰერცოგი; კალენბერგ-გოტინგენის სათავადო სახლის წარმომადგენელი, „30 წლიანი ომის“ გენერალი.

• გვ. 40

ავტოგრაფი:

**Johannes Duc Bruns: et Lüneburgen
Wolmerstadij. 1597**

Braunschweig-Lüneburg, Johannes (1583-1628) – ჰერცოგ ვილჰელმ ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის (1535-1592) ვაჟი, გეორგ ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის ძმა. საქსონიელი ჰერცოგი, ბრაუნშვაიგის პრინცი. ფურცლის ზედა მხარეს მას მიუწერია ფლანდრიელი პოლიტიკოსის, მემატიანისა და მემუარისტის, ფილიპ კომინენსის სიტყვები.

• გვ. 56

ავტოგრაფები:

**1580. Argentina
Ernestus Fridericus Marchio Badensis et Hachbergensis**

Zähringen, Ernst Friedrich, Markgrave von Baden-Durlach (1560-1604)⁷⁸ – ბადენ-დურლახის პირველი მარკგრაფის, კარლ მეორის (1529-1577) შვილი, ბადენ-დურლახის მფლობელი მარკგრაფი. ამავე გვერდზე ქვედა მინაწერი ეკუთვნის ერნსტ-ფრიდრიხის ძმას, იაკობუსს.

75 ვიურტემბერგი – გერმანიის ისტორიული მხარე ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში.

76 Geborne Herzogin - დაბადებიდან ჰერცოგინია.

77 Braunschweig-Lüneburg - საჰერცოგო გვიანი შუა საუკუნეების საქსონიაში.

78 <http://thesaurus.cerl.org/record/cnp01003151>

1580. Argentina

Jacobus Marchio Badensis et Hachbergensis

Zähringen, Jakob III, Markgrave von Baden-Durlach (1562-1590) – ბადენ-ჰაჩბერგის მარკგრაფი. ჩანანერი გაკეთებულია იოჰან სალაგასტისა და იაკობ ბადენ-დურლახის სტრასბურგის აკადემიაში სწავლის პერიოდში.

- გვ. 64.

ებერჰარდების საგვარეულოს გერბი და ორი ძმის ავტოგრაფი:

Eberhardus Comes a Tubinga et Dominus in Liechteneck⁷⁹

1577. Argentorati.⁸⁰

Conradus Comes a Tubinga et Dominus in Liechteneck

1577. Argentorati.

Eberhand Conradus, Comes Tubingensis, Dominus in Liechteneck – გრაფი, 1584 წელს ყოფილა გერმანიის ქალაქ ტუბინგენის უნივერსიტეტის რექტორი.⁸¹

- გვ. 68

გერბი და ავტოგრაფი:

1577

Wolfgangus Ernestus ab Jsenburg comes in Büdingen

Argentorati.

Isenburg-Büdingen, Wolfgang-Ernest I (1560-1633) – გერმანელი გრაფი, რომლის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია სტრასბურგის უნივერსიტეტის დამაარსებლისა და ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, თეოლოგ იოჰან შტურმის რეფორმატორულმა თეოლოგიურმა მოძღვრებამ. ის კარგად ერკვეოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თეოლოგიასა და პოეზიაში. ცნობილია ფაქტი, რომ ვოლფგანგ იზენბურგ-ბუდინგენმა სტიპენდია დაუნიშნა გაჭირვებულ სტუდენტებს. ზემოთ მოყვანილი ავტოგრაფი გაკეთებულია მისი სტრასბურგში სწავლის პერიოდში.

- გვ. 72

გერბი და ერთი ოჯახის სამი წევრის ავტოგრაფი:

79 Dominus in Liechteneck – ბავარიის ქალაქ ლიხტენეკის მფლობელი. Dominus (ლათ). – მფლობელი, ბატონი.

80 Argentorati, Argentina - ქალაქ სტრასბურგის ძველი ლათინური სახელწოდება.

81 Zeller, Andreas Christoph. Ausführliche Merckwürdigkeiten der Hochfürstl. Württembergischen Univer sitaet und Stadt Tübingen... Berger, 1743, p. 374.



სოლზ-მიუნსტერბერგის სათავადო სახლის გერბი ოჯახის სამი წევრის ავტოგრაფით

1577

**Georgius Eberhardus, Comes Solmensis
Argentina.**

Solms-Münsterberg, Georg Eberhard von (1568-1602) – გერმანელი გრაფი, პოლანდიის არმიის პოლკოვნიკი. „ჟენევის აკადემიის რექტორის ნიგნში“ ამ პიროვნების ტიტულები სრულადაა წარმოდგენილი: ⁸²

1577

**Reinhardus Comes Solmensis
Argentina**

Solms, Reinhard von - გერმანელი გრაფი.

82 Le livre du recteur de l'Academie de Geneve... Geneve: Droz, 1959, p. 106.

1577

**Joannes Albertus Comes Solmensis
Argentina**

Solms-Münsterberg, Joannes Albertus - გერმანელი გრაფი. მოხსენიებულია ჟენევის აკადემიის რექტორის მიერ შედგენილ სტუდენტთა 1581 წლის ნუსხაში.⁸³

• გვ. 74

სამი ავტოგრაფი:

**Johannes Comes ab Ostrorog
Argentina. 1580**

Ostrorog, Johannes ab, Polonus (1547-1622) – პოლონელი დიდგვაროვანი, გუბერნატორი. მისი სახელი და გვარი ძმასთან, ნიკოლაუსთან ერთად, მოხსენიებულია ჟენევის აკადემიის რექტორის სიაში და დათარიღებულია 1581 წლით.⁸⁴

**Nicolaus Comes Ostrorog
Argentina. 1580**

Ostrorog, Nicolaus ab, Polonus – გრაფ ნიკოლაუს ოსტროროგის შესახებ ევროპის ბეჭდური მემკვიდრეობის ელექტრონულ ცნობარში აღნიშნულია, რომ ის მოღვაწეობდა ბავარიის ქალაქ ალტდორფში („Rektor in Altdorf, Graf“). 1583 წელს აირჩიეს ალტდორფის აკადემიის რექტორად. პოლონელი გრაფები ძმები ოსტროროგები მოხსენიებულნი არიან ჟენევის აკადემიის რექტორის მიერ შედგენილ სტუდენტთა ნუსხაშიც. იოჰან სალაგასტი მათთან ერთად გვევლინება 1581 წელს სტრასბურგში გამოცემული წიგნის თანაავტორად.



83 Le livre du recteur... 1959, p. 106.

84 Le livre du recteur... T. 6, 1980, p. 106.

Labertus Danaus
Argentina. 1581

Daneau, Lambertus (1530-1590) – ფრანგი იურისტი და კალვინისტი თეოლოგი (ჟან კალვინის მოწაფე). ასწავლიდა თეოლოგიას ჟენევის აკადემიასა და ლეიდენის უნივერსიტეტებში. არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი.



ლაბერტ დანო

• 83. 78

დაუთარიღებელი გერბი ავტოგრაფით:



გერბის ჩანახატი სალაგასის ალბომიდან

Pilgram von Puechaim

Puchheim,⁸⁵Pilgram – ავსტრიელი დიდგვაროვანი, სავარაუდოდ, ბარონი.

⁸⁵ ავსტრიელი დიდებულის საგვარეულო გერბზე პუხაიმების მე-14 საუკუნის საგვარეულო გერბის ძირითადი ატრიბუტებია გამოსახული.

- გვ. 81
ძმების ავტოგრაფები:⁸⁶

**Francisco Comes⁸⁷ de Montfort⁸⁸... Domino in Andelot
1581**

Coligny d'Andelot, François III, seigneur de Tanlay (გარდ. 1586 წელს, 21 წლის ასაკში). – კოლინი დ'ანდელო, ფრანცისკო (ფრანსუა) – ბურგუნდიელი გრაფი, „ანდელოს ბატონი“.

**Bemamin Comes⁸⁹ de Montfort et Dominus in Tanlay
1581**

Coligny D'Andelot, Benjamin, seigneur de Sailly et de Courcelles-au-Bois. (-1586) – კოლინი დ'ანდელო, ბენუამენ – ბურგუნდიელი გრაფი, „ტანლაის ბატონი“ (ფრანსუა კოლინი – დ'ანდელოს ძმა.)⁹⁰

- გვ. 82
გერბი ავტოგრაფით:

**Zacharias Slauata Baro ä Chlum et Cossumberg⁹¹
Argentina. 1580**

Slawata, Zacharias von Chlum und Koschumberg (1556-1599) - ჩეხი გრაფი.

- გვ. 85
ავტოგრაფი:

**Johannes Rokosovski
Argentina. 1580**

Rokosovski, Johannes

86 ამ გვერდის ხელნაწერებში არ არის მინიშნებული გეოგრაფიული ადგილი, მაგრამ სავარაუდოდ, ეს ავტოგრაფები სტრასბურგშია გაკეთებული.

87 Comes – გრაფი.

88 ფრანგი ძმების, კოლინების მამა გახლდათ პრუსიის არმიის ინფანტერიის გენერალი, გრაფი ფრანსუა დე კოლინი (François de Coligny). ის ფლობდა: ლავალის (საფრ.), ბრეტანის (საფრ.), მონფორის (ნიდერლ.), ანდელოს (საფრ.), ტანლაისა (საფრ.) და კურსელის (ბელგ.) ტერიტორიებს. იხ.: Moreri, Louis. Le grand dictionnaire historique ou Le mélange curieux de l'histoire sacrée et profane... Paris: François Pitteri, 1744, p. 390; Crottet, Alexandre-César. Petite chronique protestante de France, ou Documents historiques sur les Églises réformées de ce royaume. xvie siècle. [With] Appendice. Paris-Geneve: Cherbulix et Cie, 1846, P.368.

89 იხ. შენიშვნა N 87.

90 The correspondence of sir Philip Sidney. Vol. 1, Oxford, 2012, p. 907.

91 Cossumberg - ქალაქი ბოჰემიაში.

• გვ. 89

პოლონელ დიდგვაროვანთა გერბი ერთი ოჯახის ორი წევრის ავტოგრაფით:

**Jacobus Krotoski a Krotoszin
Argentina. 1581**

Krotoski. Jacobus

**Andreas Krotoski a Krotoszin
Argentina. 1581**


Krotoszin à Krotoski, Andreas – „Krotoski, Andreas, a Krotossin palatinades Inowladislawiensis“ – მოხსენიებულია უენევის უნივერსიტეტის რექტორის მიერ შედგენილ სტუდენტთა ნუსხაში და ორლუანის უნივერსიტეტის გერმანული წარმოშობის სტუდენტთა ჩამონათვალში.⁹²

• გვ. 94

გერბი ავტოგრაფით:

1580

Philips Jacob vonn Flerzheim...



ფლერზჰაიმების საგვარეულო გერბები სალაგასტის ალბომიდან და იოჰან ზიგმახერის გერბების კატალოგიდან

92 Le livre du recteur... 1959, p.115; Troisieme livre des procureurs... 2013, p. 774.

- გვ. 97
ავტოგრაფი:

Jacobus Bromiwskj
Argentina. 1581

- გვ. 113
ავტოგრაფი:

Rodolphus Carre
Aurelia.⁹³1584

- გვ. 118
ავტოგრაფი:

Gabriel Cokalowsky
Argentotaty. 1580

Cokalowsky (Sokalowsky), Gabriel – პოლონელი დიდგვაროვანი.

- გვ. 126
გერბი ავტოგრაფით:

1579
Henricus Anshelmus Baro a Promnitz
Francofurti ad Oderam



პაინრის პრომნიცის ავტოგრაფიანი გერბები ი. სალაგასტის და ბ. კალუდანუსის ალბომებში

93 Aurelia - ქალაქ ორლეანის (საფრ.) ძველი, ლათინური სახელწოდება.

Promnitz, Heinrich Anselm von (1564-1622) – საქსონიელი გრაფი, პლესის, სოროს და ტრიბელის ტერიტორიების მფლობელი, 1578 წლიდან ოდერის ფრანკფურტის უნივერსიტეტის რექტორი:⁹⁴ ზემოთ მოყვანილი ავტოგრაფიკ ალბომის პატრონის ფრანკფურტში ყოფნის დროს არის გაკეთებული. ამ პიროვნების გერბი და 1581 წელს სტრასბურგში გაკეთებული ჩანაწერი შეგვიძლია ვიხილოთ ბერნარდ პალუდანუსის ალბომშიც, რომელიც დაცულია ჰოლანდიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.⁹⁵

• გვ. 129

გერბი ავტოგრაფით:

1581

Wolf⁹⁶ Ungrad Baro in Sonneck

Argentina

Ungrad zu Sonnegg, Wolfgang (– 1595) – ავსტრიელი ბარონი. ამავე პიროვნების გერბი და 1581 წლის სტრასბურგული ჩანაწერი შემონახულია ნიდერლანდების ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ბერნარდ პალუდანუსის ალბომში.⁹⁷



გერბები ი. სალაგასტის და ბ. პალუდანუსის ალბომებიდან

94 Friedlander, Ernst. *Altere Universitäts Matrikeln*. Bd. I, Leipzig, 1887, Fol. 259.

95 http://www.europeana.eu/portal/record/92065/BibliographicResource_1000056120631.html

96 Wolf. – Wolfius, wolfgang.

97 http://www.europeana.eu/portal/record/92065/BibliographicResource_1000056121162.html

- გვ. 134
ავტოგრაფი:

**Joan Skrethuskj
Wolmerstadii.⁹⁸ 1591**

Skretuski, Joan - პოლონელი დიდგვაროვანი.

- გვ. 147
ავტოგრაფი:

**Petrus Goraiski de Gorai Reg. Polonie
Patricius Eques⁹⁹
Lut. Paris. 1583**

Goraiski a Goray, Petrus – პოლონელი პროტესტანტი ბარონი, 1603–1616 წლებში გამოქვეყნებული აქვს რვა თხზულება.

- გვ. 151
ნიგნის ფურცელზე დაკრული საგვარეულო გერბი ერთი ოჯახის წევრთა ავტოგრაფებით:



ავსტრიული გრაფების საგვარეულო გერბი

98 იხ. შენიშვნა N74.
99 Patricius Eques - რაინდი პატრიციუსი.

**Wolfgangus Baro in Eckh et Hungerspach
Argentorati. 1581**

Egkh-Hungerspach (Weissenwolff) Wolfgang - ავსტრიელი გრაფი.¹⁰⁰

**Georgius Sigismund Baro in Egkh
Argentine. 1581**

Egkh-Hungerspach (Weissenwolff) Georg Sigismund – ავსტრიელი გრაფი. მისი 1581 წლის ავტოგრაფი შემონახულია ჰოლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ბერნარდ პალუდანუსის ალბომში.¹⁰¹

- გვ. 155
ავტოგრაფი:

**1582
Wilhelmo a Rotenhan in Rentt-Weinsdorff¹⁰²**

Rotenhan, Wilhelm von - ბავარიელი თავადი რენტვიანსდორფიდან.¹⁰³

- გვ. 159
ავტოგრაფი:

**Joannes Albertus Krzinecky Baro a Ronow
Argentorati. 1581**

Krzinecky von Ronow, Joannes Albertus – ბოჰემიელი თავადი ქალაქ რონოვიდან.

- გვ. 167
გერბი ავტოგრაფით:

**Christophorus a Dorstadt Saxo
Argentina. 1581.**

Dorstadt, Christophorus a – ქვემო საქსონიელი დიდგვაროვანი ქალაქ დორშტადტიდან, ბიბლიოფილი. მისი ავტორობით დაიბეჭდა ორი თხზულების 5 პუბლიკაცია 1610 – 1613 წლებში. ამავე პიროვნების იდენტური გერბი, ავტოგრაფი და სიუჟეტური ჩანახატია ექიმ ბერნარდ პალუდანუსის ალბომში,¹⁰⁴ რომელიც 1579 წლითაა დათარიღებული. (იხ. გვ. 65)


100 Elze, Theodor. Die Universitat Tubingen und die Studenten aus Festschrift zu vierten Sacularfeier... [Tubingen], 1877, p. 73.

101 http://www.europeana.eu/portal/record/92065/BibliographicResource_1000056121114.html

102 Rentweinsdorf – როტენჰანების საგვარეულო ციხე-სიმაგრე ბავარიაში.

103 Cerl Thesaurus. Accessing the record of Europe's printed heritage (<http://thesaurus.cerl.org/record/cnp01110590>).

104 http://www.europeana.eu/portal/record/92065/BibliographicResource_1000056121429.html



გერბი ი. სალაგასტის ალბომიდან



საქსონიელი დიდებულის გერბის სხვა პარიანტი და ჩანახატი ბ. კალუდანუსის ალბომიდან

• გვ. 172

შავ-თეთრი გერბი ავტოგრაფით:

Melchior Ulfstand Danus
Argen. 1577

Ulfstand, Melchior, Danus a Vosbiurg – „კეთილშობილი დანიელი ლორდი“ მოხსენიებულია ორლენის არქეოლოგიური და საისტორიო საზოგადოების ბიულეტენში, ქ. ორლენის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის, ასევე „ევროპის ბეჭდური მემკვიდრეობის ელექტრონულ ცნობარში“.¹⁰⁵

• გვ. 176

1579 წლით დათარიღებული გერბი გაურკვეველი ავტოგრაფით:


[Hennicke?] Pentz

წარმომობით მეკლენბურგელი (პომერანია) თავადების – პენტცების ერთ-ერთი წარმომადგენელი. ამ გვარის დიდებულები ცხოვრობდნენ საქსონიაშიც.

105 Troisième livre des procureurs ... Leiden, 2013, p. 802; Bulletin de la Société archéologique. Vol. 8, Orlean, 1886, nbsp; issues 116-131; „CERL Thesaurus. Accessing the record of Europe’s printed heritage“ (data.cerl.org/thesaurus)



3. პენციის გერბის ჩანახატი ი. სალვასტის ალბომიდან (1579 წ.)



პენციების საგვარეულო გერბი ი. ზიზბახარის კატალოგიდან (1605 წ.)

• გვ. 183

გერბი ავტოგრაფით:

ფურცლის ზედა მხარეს მიწერილია სენეკას ცნობილი გამონათქვამი: „Fortuna fortes metuit ignavos uero prensit“ („ბედი მამაცებს სწყალობს“). გერბის ქვემოთ ავტოგრაფია:

**Ehrenricus a Schuendus in Lissa¹⁰⁶ et Neukirchen¹⁰⁷
Argentina. 1581**

Schwendi, Ehrenricus (Ehrenreich) von - შვაბიელი ბარონი.

• გვ. 195

ავტოგრაფი ფრანგულ ენაზე:

**Nicolaus Henricus ab Eberbach
Lutetia.¹⁰⁸ 1583**

106 Lissa - ქალაქი პოლონეთის სილეზიაში (ამჟამად ქ. ლეშნო).

107 Neukirchen – ნოიკირხიდან. ნოიკირხი - თემი გერმანიაში ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში.

108 Lutetia - ლუტეტია – პარიზის ძველი, ლათინური სახელწოდება.

Eberbach, Nicolaus Henricus von, Thuringus - ამ პიროვნების გვარი 1581 წელს შეტანილია ჟენევის აკადემიის რექტორის მიერ შედგენილ სტუდენტთა სიაში.¹⁰⁹

- გვ. 199
ავტოგრაფი¹¹⁰

1583
Henrich von Eberbach
Paris, 1583

Eberbach, Heinrich von - გერმანელი დიდგვაროვანი. სავარაუდოდ, ამ პიროვნების ავტოგრაფია გრაფ ფრიდრიხ IV ჰვალცის კურფიუსტის (1574–1610) სამეგობრო ალბომშიც.

- გვ. 216

Guilielmus a Pallant
Aurelijs. 1582

Palant, Guilielmus – ბელგიური წარმოშობის დიდგვაროვანი. ეს პიროვნება მოხსენიებულია ჟენევის აკადემიის 1583 წლის სტუდენტებს შორის.¹¹¹ მინაწერი ქ. ორლეანშია გაკეთებული.

- გვ. 219
ფურცლის ზედა მხარეს მიწერილია სენტენცია, ქვემოთ კი, განსხვავებული ხელწერით – სახელი და გვარი:

Joannes a Palant
Inclita nationis Alemania Aurelijs¹¹² pro tempore procurator...¹¹³ 1582

Palant, Joannes Pallandt, Johannes – 1580–1582 წლის ჩანაწერები „გერმანულ ნაცის“ ბელგიური წარმოშობის სტუდენტის შესახებ დაცულია ორლეანის უნივერსიტეტის პროკურატორთა მესამე წიგნსა¹¹⁴ და ჟენევის აკადემიის სტუდენტთა კატალოგში.

109 Le livre du recteur... 1959, p. 107.
110 195–ე და 199 –ე გვერდებზე ავტოგრაფები ერთი ოჯახის წევრებს უნდა ეკუთვნოდეს: ორივე წარწერა პარიზშია შესრულებული და 1583 წლის მარტითაა დათარიღებული.
111 Le livre du recteur de l'Académie de Genève: catalogue des étudiants de l'Académie de Genève de 1559 à 1859. Jeneve: J.-G. Fick, 1860, p. 33.
112 იხ. შენიშვნა N93.
113 Pro tempore procurator - დროებითი პროკურატორი.
114 216–ე და 219–ე გვერდების ჩანაწერები, სავარაუდოდ, ძმებს ეკუთვნით. ინფ. იხ. წიგნში: Troisième Livre des procureurs... 2012, p. 395.

- გვ. 224
ავტოგრაფი:

Johannes von Bynsfeltt
Aurelijs. 1582

Bynsfelt (Bynsfeld) Johannes von

- გვ. 227
ავტოგრაფი:

Godefridus Stolzenbergh Marcoduranus
Aurelijs. 1582

Stolzenberg Marcoduranus, Godefrid - მოხსენიებულია ჟენევის აკადემიის რექტორის მიერ შედგენილ სტუდენტთა ნუსხაში.¹¹⁵

- გვ. 228
ავტოგრაფი:

Wernerus a Gymnich
Aurelijs. 1582

Gymnich, Wernerus von - გერმანელი ჰერცოგი. მოხსენიებულია 1587 წელს შედგენილ სიაში, ორლუანის უნივერსიტეტის გერმანულ სტუდენტთა შორის.¹¹⁶

- გვ. 231–232
ამ გვერდებზე 1583 წლით დათარიღებული გაურკვეველი ავტოგრაფებია.

- გვ. 234
ავტოგრაფი:

Christophorus Fridericus a Kanitz
Londini in Anglia. 1583

Kanitz, Christophorus Fridericus, Silesius - ამ პიროვნების ავტოგრაფებია დაცული, აგრეთვე: გეორგ ამან ფონ ამანზეკისა და ჰანს შრეიტერის სამეგობრო ალბომებში (1583, 1588 წლები).¹¹⁷

115 Le livre de recteur... 1980, p.: 515, 635.

116 Troisieme livre des procureurs... 2013, p. 768.

117 <http://www.raa.phil.fau.de/recherche/raa.php?file=stambucheintraeger&suchbegriff=kanitz&suchort=&logik=&sortierung=Sigle&order=ASC&output=list>

1582 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში, ჰანს სალაგასტთან ერთად, ისიც ორლეანის უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა.¹¹⁸

- გვ. 235
ავტოგრაფი:

**Jacobus Re[u]hel v.¹¹⁹ Silesij
Auarici Biturigum.¹²⁰ 1582**

- გვ. 236
გერბი და დაუთარიღებელი ავტოგრაფი:

Thomas a Knesebeck

Knesebeck, Thomas von (1559–1625) - პროტესტანტი საქსონიელი დიდგვაროვანი, ბრანდენბურგის კურფიურსტი, საიდუმლო საბჭოს მრჩეველი და ალტმარკის¹²¹ გუბერნატორი.¹²²

- გვ. 238
ავტოგრაფი:

**Veit Ullrich Marschalk von Ebnat
Auarici Biturigum.¹²³ 1582**

Marschalk von Ebnat, Veit Ulrich (-1626) - ბავარიელი პროტესტანტი დიდგვაროვანი, „მდიდარი რაინდი“, გერმანიის ქალაქ Wurtzbourg-ისა და ავსტრიის კომუნის – ბამბერგის ამტმანი,¹²⁴ რეგიონალური ოფისის კანონმდებელი; საინტერესო საოჯახო ბიბლიოთეკის მფლობელი, რომლის წიგნები ამჟამად დაცულია მორავიის (ჩეხოსლოვაკიის) ქალაქ ლიპნიცის ციხე-სიმაგრე-სა¹²⁵ და ქალაქ ბამბერგის სამეფო ბიბლიოთეკაში.

118 Troisième Livre des procureurs... 2012, p. 773.

119 v. - von.

120 Auarici Biturigum (ფრანგ.: Bourges) - საფრანგეთის ქალაქ ბურჟის ძველი, ლათინური სახელწოდება.

121 ალტმარკი (გერმ.: Altmark) – რეგიონი გერმანიაში, საქსონია-ანჰალტის ფედერაციაში.

122 [http://www.wikiwand.com/de/Knesebeck_\(Adelsgeschlecht\)](http://www.wikiwand.com/de/Knesebeck_(Adelsgeschlecht))

123 იხ.: შენიშვნა N 120.

124 Amtmann - ამტმანი, რეგიონის ადმინისტრაციული ოფისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გვიანი შუა საუკუნეების გერმანიაში. ასრულებდა სასამართლოს ბოქაულის მოვალეობასაც.

125 Cerl Thesaurus. Accessing the record of Europe's printed heritage – <https://thesaurus.cerl.org/record/cnp00490128>; Ninness, Richard. Between Opposition and Collaboration: Nobles, Bishops, and German Reformation in the Prince-Bishopric of Bamberg, 1555-1619. Leiden, 2011, p. 220.

- გვ. 239
ავტოგრაფი:

Georg Sebastian Stieber von Buttenheim

Auarici Biturigum. 1582

Stieber von Buttenheim, Georg Sebastian – მოხსენიებულია ნიურნბერგის (ბავარიის) სახელმწიფო არქივში დაცულ 1603 წლით დათარიღებულ დოკუმენტში,¹²⁶ ასევე ორლეანის უნივერსიტეტის სტუდენტების 1587 წლის სიაში.¹²⁷

- გვ. 240
ავტოგრაფი:

Sigmund Marschalk von Ebnet¹²⁸

Auarici Biturigum.¹²⁹1582

Marschalk von Ebnet, Sigmund ¹³⁰ – ამ პიროვნების ქ. ბურჟში გაკეთებული ამავე წლის ავტოგრაფია Georg Amman von Ammanseck-ის „სამეგობრო ალბომში“.

- გვ. 243
ავტოგრაფი:

Guolffgangus Conradus a Rechberg ab Hohen Rechberg

Auarici Biturigum. 1582

Rechberg, Guolffgangus Conradus a – 1582 წლის ჩანაწერის მიხედვით – ორლეანის უნივერსიტეტის გერმანული ნაციის სტუდენტთა „ბრწყინვალე პროკურატორი“¹³¹; 1583-1584 წლებში საფრანგეთის ქალაქ დოლის უნივერსიტეტის რექტორი.¹³²

126 <http://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/GACA4NPCLKGJCLJQ7SOMZ3A7AXI3D7P>

127 Troisieme livre de procureurs... 2012, p. 754, 799.

128 ვეიტ ულრიხ ფონ ებნეტის ძმა (იხ.: ალბომის გვ. N238).

129 იხ. შენიშვნა N120.

130 Ninness, Richard... Leiden, 2011, p. 220; Hassfurter, Wolfgang. Eine christliche Predigt bey der Leich ... Sigmundt Marschalks von und zu Ebnet. Nurnberg, 1608, p. 750.

131 Troisieme livre des procureurs... 2012, p. 791.

132 Cordes, Albrecht. Juristische Argumentation. Argumente der Juristen. Bohlau - Köln, 2006, p. 206.

- გვ. 244
ავტოგრაფი:

**G[r]ogius Lonnerstadt
Auarici Biturigum. 1582**

- გვ. 247
ავტოგრაფი:

**Ludovicus Coch Franco
Biturgiby Gallorum. 1582**

Coch, Ludovicus (Ludwig), Francus – მოხსენიებულია ორლუანის უნივერსიტეტის ფრანგ სტუდენტთა სიაში¹³³ და Georg Amman von Ammanseck-ის „სამეგობრო ალბომში“¹³⁴

- გვ. 248
დაუთარიღებელი, გაურკვეველი ავტოგრაფი:

Johannes Ta..ilaus

- გვ. 251
ავტოგრაფი:

**Georgius ab Haslanng
1582. Auarici Biturigum**

Haslang, Georgius von - ბავარიელი გრაფი.¹³⁵ მისი ავტოგრაფი დაფიქსირებულია იოჰან პერეზ დე მალვენდას „სამეგობრო ალბომშიც“, საიდანაც დასტურდება, რომ გეორგ ჰასლანგი 1582 წლის ოქტომბერში იოჰან სალაგასტთან ერთად იმყოფებოდა ორლუანში.¹³⁶

133 Troisieme livre des procureurs... 2013, p. 764.

134 ამ ჩანაწერის თარიღი ემთხვევა 1582 წლის ივლისში ორლუანის უნივერსიტეტში იოჰან სალაგასტის სტუდენტობის პერიოდს.

135 Troisieme livre des procureurs... 2013, გვ. 769.

136 <http://www.raa.phil.fau.de/recherche/raa.php?file=stammBucheintraeger&suchbegriff=Haslanng&suchort=&logik=&sortierung=Sigle&order=ASC&output=list>

- გვ. 255
ავტოგრაფი:

Johannes Georgius a Rotenhan in Rentweinsdoff¹³⁷ 1582

Rotenhan, Johann Georg Francus (1559-1613) – ცნობილია მისი თანაავტორობით დაბეჭდილი ერთი პუბლიკაცია; ჩანაწერი ამ პიროვნების შესახებ იხ. ორლუანის ძველი უნივერსიტეტის პროკურატორთა მესამე წიგნში.¹³⁸ „ევროპის კვლევითი ბიბლიოთეკების კონსორციუმის“ ელ. კატალოგში¹³⁹ მოხსენიებულია, როგორც „ფრანკი რაინდი და ეპისკოპოსის მრჩეველი“.

- გვ. 259
ავტოგრაფი:

Georgius Meisenbug[k]

Aureliis. 1582

- გვ. 263
ავტოგრაფი:

1582. Aurelia¹⁴⁰

C. Wilhelm von Linsingenn

ამ პიროვნების 1584 წლის ჩანაწერი გვხვდება Albrecht Senfft von Sulburg-ის ალბომში.¹⁴¹

- გვ. 271
ავტოგრაფი:

Hanss Pleickhart vonn Berlichnigen¹⁴²

Lutetiae Parisior.¹⁴³ 1583

Berlichigen, Hans Pleickhart (Johann Pleikard von Berlichingen) (1560-1594) - გერმანელი დიდგვაროვანი, ცნობილი რაინდის, მეტსახელად „რკინის ხელის“ – გოტფრიდ ფონ ბერლიხინგენის

137 იხ. შენიშვნა N 102.

138 Troisième Livre des procureurs... 2012, p.: 792, 793.

139 <https://thesaurus.cerl.org/cgi-bin/record.pl?rid=cnp01110588>

140 იხ. შენიშვნა N 93.

141 <http://www.raa.phil.fau.de/recherche/raa.php?file=stambbucheintraeger&suchbegriff=linsingen&suchort=&logik=&sortierung=Sigle&order=ASC&output=list>

142 სავარაუდოდ, გვარში კორექტურული შეცდომაა, უნდა ეწეროს: „Berlichingen“.

143 იხ. შენიშვნა N 108.

შვილიშვილი. ვიურტემბერგის პოლიტიკური საბჭოს მრჩეველი.¹⁴⁴ ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაცემების მიხედვით: „Amtmann¹⁴⁵ a Schwabach et Windsbach“.¹⁴⁶ მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის მფლობელი. მისი „სამეგობრო ალბომი“ 1575–1581 წლის ჩანაწერებით დაცულია ქ. შტუტგარტის ბიბლიოთეკაში.

- გვ. 275
ავტოგრაფი:

Guolfgangus Christophorus a Rotenhan in Renttveinsdorff Aurelijs.¹⁴⁷ 1582

Rotenhan in Renttveinsdorff, Guolfgangus Christophorus a - ბავარიელი რაინდი, ბარონ როტენჰანების უძველესი საგვარეულოს წარმომადგენელი.¹⁴⁸

- გვ. 279
ფურცლის ზედა მხარეს, ლათინური მინაწერი – ფრანჩესკო პეტრარკას გამონათქვამი.
ქვემოთ – ავტოგრაფი იმავე ხელნერით:

Johann Bernardus a Grorodt Londini. 1583

Grorodt, Johann Bernardus (Grorodt, Hans Bernhard) - ამ პიროვნების გვარი დაზუსტდა „სამეგობრო ალბომების რეპერტუარის“ ელექტრონული საძიებლის მიხედვით.¹⁴⁹

- გვ. 280
ერთი პიროვნების მინაწერები ბერძნულ და ლათინურ ენებზე:

Johannes Corfinius Rostochiensis¹⁵⁰ Lutetia¹⁵¹Parisiorum. 1583

Corfinius, Johannes Rostochiensis - თეოლოგი, როსტოკის უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორი, პასტორი.¹⁵² გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი სათაურით: Programma Quo Rector

144 Volker, Honemann; Ulmschneider, Heldgard. Eine ritterschaftliche Bibliothek des 16. Jahrhunderts: Das Verzeichnis der Bücher des Hans Pleickhard von Berlichingen (+1594), Sonderdruck aus: Archiv für Geschichte des Buchwesens, Band XX, Lieferung 4, 1979, S. 834-894, mit Gruß und Begleitschreiben von Ulmschneider. „Deutsche digitale Bibliothek“ - <https://www.deutsche-digitale-bibliothek.de/item/7H4XQTS46WR67HTZA2VGY7YR2I2S20H4>

145 იხ. შენიშვნა N 124.

146 Le livre du recteur... Vol. 1, 1966, p. 182.

147 იხ. შენიშვნა N 93.

148 Troisieme livre des procureurs... 2013, p. 764.

149 <http://www.raa.phil.fau.de/recherche/raa.php?file=stambbucheintraeger&suchbegriff=grorodt&suchort=&logik=&sortierung=Sigle&order=ASC&output=list>

150 Rostochiensis - როსტოკიდან; როსტოკი - ქალაქი გერმანიაში.

151 იხ. შენიშვნა N 108.

152 პასტორი - ლუთერანული ეკლესიის მოძღვარი.

Universitatis Rostochiensis Johannes Corfinius, SS. Theol. D. Moraliū Professor, & Pastor D. Mar. Ad Justa Exequialia Quae Matronae Honestissimae Magdalenae Lafrentzen/ Viri Clarissimi ... Dn. Joannis Bacmeisteri, Phil. & Med. D. ejusdemque Facultatis Professoris, ac Senioris dum viveret bene meriti, relictæ viduæ A Liberis Moestiſimis Hodie hora I. in Templo B. Jacobi parantur: Cunctos Cives Academicos sedulo & amanter vocat. Rostock, 1653.

• გვ. 283

ავტოგრაფი:

1582

Leonhard Nonninger

Aurelijs

• გვ. 284

ავტოგრაფი:

Casparus Trolle Danus

Parisiis Gall. 1583

Trolle, Casparus Danus (გარდ. 1590 წ.)¹⁵³ – დანიელი დიდგვაროვანი, ჰოფ-იუნკერი. 1582–1587 წლებში სწავლობდა ორლუანის უნივერსიტეტში და მოხსენიებულია „გერმანული ნაციის“ ჯგუფში ჩარიცხულ დანიელ სტუდენტთა შორის („Trolle Casper, nobilis danus“). 1584–1589 წლებში სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტშიც - მისი გვარი შეტანილია ამ სასწავლებლის სტუდენტთა სიაში.¹⁵⁴

• გვ. 287

ავტოგრაფი:

Godisinus a Larhen Borussus¹⁵⁵

Lutetia.¹⁵⁶ 1583

Larhen, Godisinus - მოხსენიებულია 1582 წლის სიაში, ორლუანის უნივერსიტეტის გერმანელ სტუდენტთა შორის.¹⁵⁷

153 Fortegnelse over Nordboer, som have studeret ved Universitetet i Genf 1559–1800. Ved C. F. Bricka.. 117; Krekler, Ingeborg. Die Autographensammlung des Stuttgarter Konsistorialdirektors Friedrich Wilhelm Frommann (1707 - 1787). Wiesbaden: Harrassowitz, 1992 (Die Handschriften der Württembergischen Landesbibliothek Stuttgart, Sonderreihe 2), p. 539.

154 Le livre du recteur... T. 6, 1980, p. 117.

155 Borussia (ლათ.) - პრუსია.

156 იხ. შენიშვნა N 108.

157 Troisieme livre des procureurs... p. 452.

- გვ. 291

ავტოგრაფი:

**Baldassar a Nostitz
Parisiis. 1583**

Nostitz, Baldassar von - სილეზიელი გრაფი, რომლის ავტოგრაფები შემონახულია ასევე მის თანამედროვეთა „სამეგობრო ალბომებში“.

- გვ. 294

ავტოგრაფი:

**Eckebrecht von der Malspurgk
Londini. 1583**

Malspurg (Malsburg) Eckebrecht von (1565–1609?) – გერმანელი ლორდი, რაინდი, საიდუმლო მრჩეველი.¹⁵⁸

- გვ. 295

ავტოგრაფი:

**Johan a Nostitz
Lutetiae Parisiorum. 1583**

Nostitz auf Noës, Johannes von (Hans von Nostitz und Noës) (1562-1619) - სილეზიელი გრაფი, პროტესტანტი გუბერნატორი, ლიგნიცის ჰერცოგის – იოახიმ ფრიდრიხ ფონ ბრიეგის მრჩეველი, ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ კი მისი ვაჟის მეურვე.

- გვ. 299

ავტოგრაფი:

**Johannes a Braun
Lutetioe Parisiorum. 1583**

Braun, Johannes (Hans) von - სავარაუდოდ, სწორედ ეს პიროვნებაა („Hans von Braun, Silesius“) მოხსენიებული ორლეანის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1583 წლის ნუსხაში.¹⁵⁹

158 სავარაუდოდ პირის იდენტიფიკაციისთვის იხ. Bernd Josef Jansen–ის ელ. გენეალოგიური ცნობარი: <https://www.genealogieonline.nl/fr/de-stamboom-jansen/165752.php>

159 Troisième livre des procureurs...p. 513.

- გვ. 304

გერბი ავტოგრაფით:

**Petrus Lange Borussus¹⁶⁰
Argentorati.¹⁶¹ 1581**

Lange, Petrus – მოხსენიებულია ორლეანის უნივერსიტეტის 1583 წ. ჩანაწერში გერმანელ სტუდენტთა შორის,¹⁶² როგორც ბავარიელი თავადი Maria Burg-ის რეგიონიდან: „Petrus Lange Mariaeburgensis Borussus“ (ამ ქალაქში ცხოვრობენ ზემოთ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები).

- გვ. 311

საგვარეულო გერბი და პოლონელი ძმების ავტოგრაფები (გვ.: 311, 312)
ფურცლის ზედა მხარეს მინერილია გერბის დევიზი და აბრევიატურა: „F. F. F.“ - „Fide, Fidelitate, Fortitudine“ („რწმენა, ძალა, ერთგულება“).

**1581
Sebastianus Markwardt a Radek¹⁶³
Argentorati**

Markwardt a Radek (Hradek), Sebastianus – ამ პოლონელი დიდებულის შესახებ საუბარია პოპულარულ პოლონურ სამეცნიერო ჟურნალში.¹⁶⁴ მისი 1581 წლის სტრასბურგის პერიოდის ავტოგრაფი დაცულია ბერნარდ პალუდანუსის სამეგობრო ალბომშიც.

- გვ. 312

ავტოგრაფი:

**Christophorus Markwardt a Hradek
Argentina. 1581**

Markwardt a Radek, Christophorus (სებასტიან რადეკის ძმა) – ქრისტოფერ რადეკის 1581 წლის ავტოგრაფი, ქ. ჰააგის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ბერნარდ პალუდანუსის ალბომიდან, შეტანილია ამავე ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში: Den Haag, Koninklijke Bibliotheek: 133 M 63. Albuminscriptie/van Christophorus Markwardt a Radek, voor Bernardus Paludanus (1550-1633).¹⁶⁵

- გვ. 315

გერბი ავტოგრაფით:

**Johannes Marquardus ab Hattstein
Argentina. 1581**

160 იხ. შენიშვნა N 155. აქ: პრუსიიდან.

161 იხ. შენიშვნა N 80.

162 Troisième livre des procureurs.. 2013, p.: 451, 775, 778, 799.

163 A Radek – რადეკიდან (სოფელი ჩეხეთში).

164 Biblioteka Warszawska. Pismo poświęcone naukom, sztukom i przemysłowi. T. 4, 1890, Warszawa, s. 646.

165 <http://opc4.kb.nl/xslt/DB=1/PPN?PPN=31117786>

Marquard von Hattstein, Johann – გერმანელი დიდებული ჰატშტაინიდან,¹⁶⁶ რომლის გერბი და ავტოგრაფი დაცულია, ასევე ფრიდრიხ IV პფალცის კურფიურსტის (1574–1610) „სამეგობრო ალბომშიც“.

• გვ. 320

ფურცელზე დაკრული შავ-თეთრი გერბი და ავტოგრაფი:

**Guilielmus Pelhamus Anglus
Argentina. 1580**

Pelhamus, Guilielmus - ინგლისელი დიდგვაროვანი. იმავე გვერდზე მიწერილ ბურჟერის კომენტარში მითითებულია ამ პიროვნების დაბადებისა და გარდაცვალების წლები: 1568 – 1616. აქვე აღნიშნულია, რომ პელჰამმა განათლება მიიღო: ოქსფორდში, სტრასბურგში, ჰაიდელბერგში, ვიტენბერგსა და ლაიფციგში, შემდეგ ცხოვრობდა თავის მამულში, სადაც ინგლისურ ენაზე დანერა „მსჯელობანი იოანეს სახარების შესახებ“.¹⁶⁷

• გვ. 323

ავტოგრაფი:

**Johannes a Barbj Saxe
Argent.¹⁶⁸ 1581**

Barby Saxe, Johannes a – საქსონიელი გრაფი.¹⁶⁹

• გვ. 324

ავტოგრაფი:

**Joan. Sturmius lector
Argentina. 1577**

Sturm, Johannes (იოჰან შტურმი) – ჰუმანისტი სწავლული, პროტესტანტი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, რიტორი, დიპლომატი, ევროპული საშუალო სკოლის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებელი (სასკოლო განათლების რეფორმატორი), სტრასბურგის პროტესტანტული გიმნაზიის (შემდგომში უკვე აკადემიისა და უნივერსიტეტის) დამაარსებელი. იოჰან შტურმი დაიბადა შლაიდენში 1507 წელს და გარდაიცვალა სტრასბურგში 1589 წელს. მისი 1581 წლის ავტოგრაფი შეიძლება ვიხილოთ ჰოლანდიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ბერნარდ პალუდანუსის ალბომშიც.¹⁷⁰ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულია მისი 1376 ნაშრომის 2479 პუბლიკაცია ოთხ ენაზე.


166 სავარაუდოდ, იგულისხმება ჰატშტაინის ციხესიმაგრის მფლობელი.

167 Zedler, J. H. Grosses vollständiges Universal Lexicon aller Wissenschaften und Künste, welche bisshero durch menschlichen Verstand und Witz erfunden und verbessert worden. Bd. 27, Leipzig –Halle, 1741, p. 178.

168 Argentina - ქ. სტრასბურგი.

169 საქსონიის ქალაქ „Barby“-ში ცხოვრობდნენ ამავე გვარის ჰერცოგები.

170 http://www.europeana.eu/portal/record/92065/BibliographicResource_1000056120622.html



იოჰან შტურმის ავტოგრაფი და სამეცნიერო მინაწერი ი. სალაგასტის ალბომში



იოჰან შტურმი



ქალაქ სტრასბურგის ხედი. 1493 წ. (გრაფიორი HARTMANN SCHEDEL)

- 83. 327
ავტოგრაფი:

**M. Georgius Calaminus Silesius
Argentorati. 1577**

Calaminus, Georg (1547-1595) – სილეზიელი სწავლული, დრამატურგი და „გვირგვინოსანი ლათინურენოვანი პოეტი“; სტრასბურგის სკოლის მაგისტრი და ლინცეს გიმნაზიის პროფესორი; იცოდდა ლათინური და ბერძნული ენები, ლათინურად თარგმნა ბერძნული პოეზიის ნიმუშები. მისი თხზულებები გამოქვეყნდა 1575 წლიდან ჯერ სტრასბურგში, შემდეგ კი ლინცეში (ავსტრიაში). ავტოგრაფთა ერთად, კალამინუსს მეგობრის ალბომში ჩაუენერია, სავარაუდოდ, თავისი ლექსი.

- 83. 328:
ავტოგრაფი:

**Volradus de Pleszen Megap.¹⁷¹
Biturigis.¹⁷² 1582**

171 Megap. – Megapolensis (მეგაპოლიდან).
172 იხ. შენიშვნა N 120.

Plessen, Volradus von (1560-1631) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე. ხუთი თხზულების შვიდი პუბლიკაციის ავტორი. მოხსენიებულია მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიის ისტორიის ამსახველ ნაშრომებში – ორლენის უნივერსიტეტის პროკურატორთა მიერ შედგენილ 1582 წლის სტუდენტთა სიასა¹⁷³ და სხვა გამოცემებში.¹⁷⁴ 1630 წლით დათარიღებული ვოლრად პლესენის ავტოგრაფია მე-17 საუკუნის სამეგობრო ალბომში¹⁷⁵. მისი ხელნაწერი ასახულია „ადრინდელი თანამედროვე კორესპონდენციების ელექტრონული საძიებელშიც“.¹⁷⁶ ისტორიული წყაროების მიხედვით, პლესენმა უმაღლესი განათლება მიიღო რამდენიმე პროტესტანტულ სასწავლებელში, მათ შორის - გრაიფსვალდის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში (1578 წ.). სალაგასტის ალბომის სამახსოვრო ჩანაწერი პლესენის საფრანგეთში ყოფნის დროს – 1582 წელს, ქალაქ ბურჟუა გაკეთებული. ამავე წელს ის ჩარიცხულა ორლენის უნივერსიტეტში.¹⁷⁷ პლესენის მოღვაწეობის სფეროდან ცნობილია, რომ ის გახლდათ იურისტი, საიდუმლო საბჭოს წევრი, პფალცის კურფიურსტის კარლ 1-ლი ლუდვიგის პირადი მრჩეველი და სახელმწიფო მინისტრი. ვოლრად პლესენი, როგორც საღვთო რომის იმპერიის ერთგული მსახური, პფალცის კურფიურსტს ფრიდრიხ მეხუთესა და მის მეუღლეს, ელიზაბეტ სტიუარტს, თან გაჰყვა გადასახლებაში ჰოლანდიაში (ჰააგაში).

• გვ. 331
გერბი ავტოგრაფით:

**Melchior Ranzouius
Argentorati. 1582**

Ranzouius (Rantzau), Melchior - სკანდინავიელი (დანიელი) თავადი.



173 Troisième Livre des procureurs... 2013, p. 452, 790.
 174 Hausmann, Frank-Rutger. Zwischen Autobiographie und Biographie: Jugend und Ausbildung des Fränkisch-Oberpfälzer Philologen und Kontroverstheologen Kaspar Schoppe (1576-1649). Würzburg: Königshausen und Neumann, 1995, p. 171.
 175 https://www.europeana.eu/portal/en/record/92065/BibliographicResource_1000056107626.html?q=who%3A%28Plessen%2C+Volradus+de%29&tid=1&pid=1
 176 „Early Modern Letters Online“ (<http://emlo.bodleian.ox.ac.uk/profile/person/a2edf7e7-c0d6-4ea6-a28c-052616200fef>) – ამ ელ. საძიებლის დანიშნულებაა „გვიანი შუა საუკუნეების“ ეპოქის დროინდელი კორესპონდენციების მოძიება.
 177 Troisième livre des procureurs... 2012, p. 779, 790.

- გვ. 332
გერბი ავტოგრაფით:

**Absolon Rosenkrantz
Argent.¹⁷⁸ 1578**

Rosenkrantz, Absolon – სახელგანთქმული დანიელი ბარონი, განათლება მიიღო პადუას უნივერსიტეტში (გარდ. 1582 წელს, მაინის ფრანკფურტში). ამ პიროვნების 1579–1580 წლებით დათარიღებული ავტოგრაფი და პორტრეტი ნიდერლანდების ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ექიმ ბერნარდ პალუდანუსის ალბომში. ის მოხსენიებულია ორლუანის უნივერსიტეტის დანიელ სტუდენტთა საიმჯ¹⁷⁹.



აბსოლონ რიზენკრანცის პორტრეტი. ჩანახატი ბერნარდ პალუდანუსის ალბომიდან (1579–1580 წწ.)

178 იხ. შენიშვნა N 80.


179 Troisieme livre des procureurs... 2013, p. 758.

- გვ. 335
გერბი ავტოგრაფით:

1582
David Ennencken in Albrechtsberg
Argentorati

Enenckel zu Albrechtsberg, David, Freyherr auf Hoheneck¹⁸⁰ (1563-1603)¹⁸¹ – პროტესტანტი ავსტრიელი ბარონი, ალბრეხტსბერგის ციხესიმაგრის მფლობელი, ერცჰერცოგ ერნსტ ფონ ოსტერეიხის სასახლის ადმინისტრაციის მოხელე – საიმპერიო სუფრაჯი („Mundschenk“).¹⁸² ინფორმაცია ამ პიროვნების გვარის სხვა ნაკითხვების შესახებ იხ.: გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში.¹⁸³

ALBRECHTSBERG



ვენეკალბერგის ციხესიმაგრე „ალბრეხტსბერგი“ (გრაჰიორი: GEORG MATTHÄUS VISCHER)

- გვ. 336
გერბი ავტოგრაფით:

Gualthero a Holden Boruss¹⁸⁴
Argentina. 1578

Holden, Gualthero a - გერმანელი დიდებული ქალაქ ბრაუნშვაიგიდან.

180 ეს პიროვნება 1594 წლიდან ფლობდა ჰოენეკის ციხესიმაგრეს ქვემო ავსტრიაში (Freyherr- იგივე ბარონი).
181 <http://emlo.bodleian.ox.ac.uk/browse/people?letter=e&filters=fe,ma,un,wr,re,me>
182 Schallenberg, Christoph von. Sämtliche Werke und Briefe. Bd. 2, Wien-Berlin, 2008, p. 308.
183 <https://portal.dnb.de/opac.htm?method=simpleSearch&cqlMode=true&query=nid%3D124317219>
184 იხ. შენიშვნა N 155.

• გვ. 339

გერბი ავტოგრაფით:

**Gotthardus Kettler
Argentorati. 1581**

Kettler, Gotthard (1517-1587) - ლუთერანი ჰერცოგი, სემიგალიის და კურლანდიის¹⁸⁵ სამთავროს გუბერნატორი, პოლონეთის მეფისა და ლიეტუვის მთავრის ვასალი, ლივონიის და ტევეტონის ორდენის დიდი მაგისტრი.



გოთჰარდ კეტლერი

185 კურლანდიის საჰერცოგო მდებარეობდა ლატვიის ტერიტორიაზე.

• გვ. 340

გერბი ავტოგრაფით:

**Joahimus a Winterfel[d]t
Argentorati. 1581**

Winterfeld, Joachim von (1556 - 1625) – ბრანდენბურგელი გრაფი. ინფორმაცია იხ.: „ევროპის კვლევითი ბიბლიოთეკების კონსორციუმის“¹⁸⁶ ელ. კატალოგში.



იოაკიმ ვინტერფელდის გერბი და ავტოგრაფი ი. სალაგასტის ალბომში

186 „Cerl Thesaurus...“- <http://thesaurus.cerl.org/record/cnp00450414>

- გვ. 343

გერბი ავტოგრაფით:

**Reimarus a Karstedt
Argentorati. 1581**

